# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 13 მარტი. 2023 წ. №29 (9561) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არა სჩანს!





იხ. 6 გვ.

შეეშვით ხვიჩა კვარაცხელიას და ყველა სასახელო ქართველ ახალგაზრდას, ვისაც წილნაყრობა არა აქვთ თბილისში მიმდინარე აქციასთან! დაიმახსოვრეთ, ყველა უცხოელმა და შინაურმა: – თბილისს არასოდეს დაავიწყდება გადაბუგული რუსთაველი... 9 აპრილამდე კი რამდენიმე დღე დარჩა!

## რაც დედამიწის „ბურთი“ კონტინენტებად დაიყო

# საქართველო ევროპაშია!

## დაპირისპირებამ გეოპოლიტიკური შესაძლებლობა არ უნდა დაგვაკარგვინოს!



იხ. 4 გვ.



იხ. 7 გვ.

## აზერ სულეიმანოვი: ჰეიდარ ალიევი იყო ფენომენალური მეხსიერების მქონე პოლიტიკოსი

## „ორტრუპა“ მერაბიშვილი: ჩვენი მთავარი მიზანია მთავრობის შეცვლა და საქართველოში პროდასავლური, პროუკრაინული მთავრობის მოსვლა

2





4

## რამაზ საყვარელიძე: ვანო მერაბიშვილის ბაქიბუქი მტკნარი სიცრუეა!

## რუსეთიდან კანადამდე, საქართველოზე გადავლით!!!



იხ. 5 გვ.

კანადის მთავრობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრის შესაქმნელად მუშაობას იწყებს

# სტუდენტებს სამხედრო სავალდებულო სამსახური აღარ შეეხებათ!



**თავდაცვის ახალ კოდექსში კვლავ უცვლელი იქნება იმ მუხლის შინაარსი, რომელიც სტუდენტების სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევას გულისხმობდა. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სტუდენტებს სამხედრო სავალდებულო სამსახური აღარ შეეხებათ.**

უწყებაში აზუსტებენ, რომ სტუდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიწვევენ, თუ ამის სურვილი თავად ექნება. ამ შემთხვევაშიც სტუდენტს რამდენიმე არჩევანი ექნება.

სტუდენტს სამხედრო სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლება:

- **სამხედრო წვრთნას გაივლიან ყოველწლიურად, ზაფხულში 1 თვის განმავლობაში, მომდევნო 4 წელი;**
- **ან გაივლიან 2-წლიან უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამას ისე, რომ ხელი არ შეეშლებათ განათლების მიღებაში, ხოლო სწავლის დასრულებისა და ხარისხის მიღების შემთხვევაში, მიენიჭებათ ლეიტენანტის სამხედრო წოდება, აკადემიური ხარისხის ვერ მიღების შემთხვევაში კი – სერჟანტის წოდება;**
- **ან გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად, ჩაირიცხებიან უკვე მოქმედ ანაზღაურებად ტერიტორიულ რეზერვში და იმსახურებენ 4 წლის განმავლობაში წელიწადში 45 დღე, რომლის სამი წლის ამოწურვის შემდგომ, წვევამდელთა ეროვნული სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ. აღნიშნული პირობებით სარგებლობის საშუალება ექნებათ ასევე უმაღლესი განათლების მქონე წვევამდელებს.**
- **ახალი კოდექსით იცვლება გადავადების პირობები:**
- **„აღმოიფხვრება საკანონმდებლო ხარვეზი და გამოირიცხება ფიქტიური „რელიგიური ორგანიზაციების“ არაკეთილსინდისიერი გამოყენება ჯარის თავიდან არიდების მიზნით.**
- **ახალი კოდექსით უმჯობესდება სამხედროების სოციალური გარანტიები მრავალწლიანი სამსახურის დაფასების მიზნით:**
- **თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იქნება სამხედროთა გარკვეული კატეგორიისთვის, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, თანადაფინანსებით, უზრუნველყოს საცხოვრებელი ფართების (ბინების) მშენებლობა;**
- **სამხედროები უზრუნველყოფილი არიან უმაღლესი ხარისხის სამხედრო აღჭურვილობით, საცხოვრებელი პირობებით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და გაუმჯობესებული სოციალური პირობებით“, აცხადებენ სამინისტროში.**

1 მარტს თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გრიგოლ გიორგაძის კომენტარი, რომელშიც ის ამბობდა, რომ სტუდენტის სტატუსი წვევამდელს ჯარიდან ავტომატურად ვეღარ იხსნიდა. მოქმედი კანონმდებლობით, სტუდენტის სტატუსი ავტომატურად გულისხმობს, რომ ახალგაზრდას სამხედრო სავალდებულო სამსახურში ვერ გაიწვევენ. მოქმედი კანონმდებლობით, ჯარში მიჰყავთ 18-დან 27 წლამდე ახალგაზრდა კაცები.

# პოლონეთი ევროპაში უდიდესი არმიის შექმნას იწყებს

**პოლონეთმა ბოლო 50 წლის განმავლობაში თავისი არმიის ყველაზე დიდი გადაიარაღების კამპანია წამოიწყო, რაც მიზნად ევროპაში უძლიერესი სამხედრო ძალის შექმნას ისახავს.**

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის ფონზე, ვარშავა იძულებული გახდა, რომ არმიის გაძლიერება დაეწყო. პოლონეთის ხელისუფლება შიშობს, რომ მომავალში მოსკოვის „ინტერესის“ ობიექტი მათი ქვეყანაც შესაძლოა, გახდეს.

**მიმდინარე წელს თავდაცვაზე პოლონეთი თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 4%-ს დახარჯავს, რაც ორჯერ აღემატება ნატოს მინიმალურ ზღვარს. ამ მაჩვენებლით პოლონეთი ერთ სულ მოსახლეზე თავდაცვითი ხარჯების კუთხით ალიანსში ლიდერი გახდება. ახალი აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ გარკვეული გარიგებები გაფორმდა ჯერ კიდევ უკრაინის ომამდე, მაგრამ რუსეთის შეჭრამ პროცესი დააჩქარა და მრავალი ახალი კონტრაქტის გაფორმება გამოიწვია. ამ სტრატეგიის ფარგლებში, პოლონეთმა უკვე შეუკვეთა 1 000 K2-ის ტიპის ტანკი სამხრეთ კორეიდან და 250 ახალი „აბრამსის“ ტიპის ტანკი აშშ-იდან. ამ შესყიდვებით პოლონეთი ევროპაში ყველაზე დიდი სატანკო ჯგუფის მფლობელი გახდება.**

გარდა ამისა, **პოლონეთის საარტილერიო ძალები ელიან 600 კორეული K9 ტიპის ჰაუბიცის, 18 „ჰაიმარსისა“ და 288 კორეული MLRS-ის ჩამოსვლას.**

პოლონელები ასევე **გეგმავენ დამოუკიდებლად აწარმოონ 1 000-ზე მეტი Borsuk-ის ტიპის ქვეითი საბრძოლო მანქანა. საჰაერო ძალები შეივსება აშშ-დან შეძენილი 96 AH-64E Apache-ს ტიპის ვერტმფრენებითა და სამხრეთ კორეიდან შეკვეთილი 48 FA-50-ის ტიპის მოიერიშე თვითმფრინავით.**

გარდა იარაღისა და ტექნიკის შესყიდვისა, **დაგეგმილია რეგულარული არმიის სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის გაორმაგება 300 000 კაცამდე. ამ მაჩვენებლის მიხედვით, უკრაინისა და რუსეთის შემდეგ, პოლონეთი ევროპაშიც პირველ ადგილზე გადავა.**



# უკრაინელებს „ჩვენი ოპოზიცია“ მეორე ფრონტის გასახსნელად სჭირდებათ



„ხალხის ძალის“ წევრი **ზურაბ ქადაგიძე** ჟურნალისტ **სავიკ შუსტერის** განცხადებას ეხმიანება.

როგორც ქადაგიძე აღნიშნავს, ჯერ არესტოვიჩმა განგვიმარტა, რომ სააკაშვილი შეძლებდა რუსებთან ომსო. ახლა კი ეს უკრაინელი ჟურნალისტი პირდაპირ, ღიად საუბრობს საქართველო-რუსეთის სამხედრო დაპირისპირებაზე ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში.

**„რა გეგმაც ჰქონდა ჩაფიქრებული გლობალური ომის პარტიას და მის უკრაინულ ფილიალს, კვლავ თავიდან „ამოიქოქა“. არავის გეგონოთ არახამიას გუშინდელი გამოჩენა,ქართული პოლიტიკის კონტექსტში და დღეს ეს ჟურნალისტი ქართულ-რუსულ კონფლიქტზე, დამთხვევა და მათი უბრალო მოსაზრებაა... არა, ახლა მიდის დატესტვა, აზრის ფორმირების მცდელობა, განსაკუთრებით ქართული „მაიდნის“ ჩავარდნის შემდეგ, იქნებ აიყოლიონ ქართველი საზოგადოება,“** – წერს ქადაგიძე ფეისბუკზე.

**ცნობისთვის, გადაცემაში „სტუმრად დიმიტრი გორდონთან“ საქართველოში მიმდინარე პროცესები და მეორე ფრონტის გახსნის საკითხი განიხილეს. გადაცემის სტუმარი უკრაინელი ჟურნალისტი სავიკ შუსტერი იყო.**

**კითხვაზე, სადამდე მივა ეს პროტესტი, გაიმარჯვებს თუ არა ოპოზიცია და თუ კი, დაიწყებენ თუ არა ისინი ბრძოლას აფხაზეთისთვის, გახსნიან თუ არა მეორე ფრონტს, შუსტერმა უპასუხა:**

**„არ ვფიქრობ, რომ საქართველო მეორე ფრონტს გახსნის. 2008 წელს ქართული არმია ცუდად შეიარაღებული არ ყოფილა, მაგრამ მან ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა იმ ბარბაროსებისთვის, რომლებიც შეიჭრნენ. არ ვფიქრობ, რომ საქართველო რუსეთთან კონფლიქტში შევა, განსაკუთრებით კი სამხედრო კონფლიქტში, მაგრამ კონფლიქტში შევა, თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის პარტია“,** – აღნიშნა შუსტერმა.




# ვანო მერაბიშვილი: ჩვენი მთავარი მიზანია მთავრობის შეცვლა და საქართველოში პროდასავლური, პროუკრაინული მთავრობის მოსვლა

**საქართველოს პარლამენტი იძულებული გახდა, შეკრებილიყო და გაეუქმებინა ეს კანონი. ეს არის ჩვენი დიდი გამარჯვება და ვიმედოვნებთ, რომ ეს გამარჯვება ბოლომდე იქნება მიყვანილი.**

**მინდა, ვთხოვო ყველას, ვინც დაინტერესებულია საქართველოს დემოკრატიით, დაგვეხმარონ მიხეილ სააკაშვილის გადარჩენაში. რადგან მიხეილ სააკაშვილი არა მხოლოდ საქართველოს პირველი პრეზიდენტია, რომელმაც საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია მოახდინა, არამედ ის ასევე არის პუტინის მოწინააღმდეგის სიმბოლო.**

**სააკაშვილის გადარჩენა არის პუტინის მოქმედებების შეზღუდვის კიდევ ერთი დიდი ქვა და გირჩევთ, ყველას, დარეგისტრირდეთ ვებგვერდზე SAVE MISHA. ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან. მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტი ზელენსკი გამოვიდა ინიციატივით და ძალიან აქტიურად უჭერს მხარს სააკაშვილს. მადლობას ვუხდი პოლონელ მეგობრებს და ჩვენს სხვა მოკავშირეებს,** – განაცხადა მერაბიშვილმა.

მერაბიშვილის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ იწყებს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას 12 პუნქტის შესასრულებლად. მერაბიშვილი მასობრივ საპროტესტო აქციებს აანონსებს.

**„ჩვენ თავად ვაპირებთ და დარწმუნებული ვარ, ქართული საზოგადოება მხარს დაგვიჭერს, რომ დავიწყოთ მასობრივი საპროტესტო აქციები. რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი მიზანია მთავრობის შეცვლა და საქართველოში პროდასავლური, პროუკრაინული მთავრობის მოსვლა, რომ უკრაინა არ იყოს მარტო, რადგან ჩვენ პრაქტიკულად მოკავშირეები ვართ. ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ და ერთად ვიზეიმოთ არა მხოლოდ რუსეთზე გამარჯვება, არამედ ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გაზაფხული და ზაფხული იქნება ძალიან საინტერესო საქართველოს პრობლემების გადაწყვეტის კუთხით“,** – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა „უკრინფორმის“ მედიაცენტრში განაცხადა, სადაც გლობალური ინიციატივის, SAVE MISHA-ს თემაზე დისკუსია გაიმართა.

# სტუდენტების აქცია-პერფორმანსი კანადის საკონსულოსთან



**„არა რუსულ კანონს კანადაში“** – თბილისში, კანადის საკონსულოსთან სტუდენტებმა აქცია-პერფორმანსი გამართეს.

**აქციის მონაწილეებმა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერებისა და აქტივისტების გამოსახულებიანი ნიღბებით გააპროტესტეს კანადაში, უცხოური გავლენის აგენტების რეესტრის შექმნის საკითხი.**

**კანადელი ლიბერალები უცხოური გავლენის აგენტის რეესტრის შექმნას გეგმავენ, რომელიც კანადას შიდა საქმეებში უცხოური ჩარევისგან დაიცავს – მოქალაქეები, რომლებიც უცხო სახელმწიფოს სახელით მოქმედებენ, ვალდებულები იქნებიან, დამქირავებელ სახელმწიფოებთან ყველა სახის კავშირი ღია გახადონ.**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

## აკადემია ახალ შევსებას ელის!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს აკადემიკოსთა ვაკანსიების დასაკავებლად რეგისტრირებულ კანდიდატთა სიას სპეციალობების მიხედვით:

| საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება | |
|---|---|
| სპეციალობა, ვაკანსია | აკადემიკოსობის კანდიდატები |
| საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების ისტორია - 1 ვაკანსია | 1. დავით ლომიტაშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. ლიანა მელიქიშვილი - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი |
| ფსიქოლოგია -1 ვაკანსია | 1. ირაკლი იმედაძე - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი<br>2. ქეთევან ჭანტურია - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი |
| **საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება** | |
| სპეციალობა, ვაკანსია | აკადემიკოსობის კანდიდატები |
| ჰიდროტექნიკური ნაგებობები - 1 ვაკანსია | - დავით გურგენიძე - ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი |
| ინფორმაციის დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი - 1 ვაკანსია | - ელიზბარ ნადარაია - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი |
| **მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება** | |
| სპეციალობა, ვაკანსია | აკადემიკოსობის კანდიდატები |
| ფიზიკა - 1 ვაკანსია | 1. ალექსანდრე შენგელაია - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. ირაკლი შეყრილაძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>3. ანზორ ხელაშვილი - აკადემიის წევრ-კორესპონდენტი |
| მათემატიკა - 1 ვაკანსია | 1. მალხაზ აშორდია - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. როლანდ დუდუჩავა - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>3. თამაზ ვაშაყმაძე - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>4. ალექსანდრე მესხი - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>5. თორნიკე ქადეიშვილი- ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი |

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# მოგვისმინეთ, რადგანაც:

## გამოვხატავთ თბილისელთა უმრავლესობის აზრს!



**ქ. თბილისის მერს, ბატონ კ. კალაძეს**



**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გ. ტყემალაძეს**

ბატონო კახა,
ბატონო გიორგი,

არქიტექტორთა ერთი ჯგუფის ეს წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 2021 წლის 3 მარტის ნომერში. წერილს არა თუ შედეგი, არამედ თავაზიანობის პასუხიც კი არ მოჰყოლია. დედაქალაქის ბოლო დღეების ამბები ძალიან ჰგავს იმ პერიოდის ვითარებას, როდესაც ეს წერილი გამოქვეყნდა. იმედს ვიტოვებთ, რომ ახლა მაინც საკრებულო და მერია წერილში დასმულ საკითხს მეტი გულისყურით მოეკიდება და გადაწყვეტილებასაც მიიღებს. ეს თბილისელთა აბსოლუტური უმრავლესობის სურვილია. არ შეიძლება საზოგადოების ერთი ნაწილის – სხვადასხვა პარტიების ინტერესების დაცვა საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ნორმალური ცხოვრებისა და მოღვაწეობის დარღვევის ხარჯზე!

თბილისი, სპეციფიკური, ხაზობრივად განვითარებული ქალაქია. ამჟამად მისი სიგრძე მტკვრის გასწვრივ 31 კილომეტრს აღწევს. ის, ფაქტობრივად, განივი ქუჩებით დაკავშირებულ ოთხ მთავარ მაგისტრალზეა „აკინძული" (მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები, რუსთაველი-ჭავჭავაძის და დავით აღმაშენებლის გამზირები), რაც განსაზღვრავს ერთიან, განუყოფელ ორგანიზმს. თუნდაც ერთ-ერთი მაგისტრალის რომელიმე კვანძის დროებითი გათიშვა, ქმნის მთლიანად ქალაქის დესტრუქციას – საქალაქო და ინდივიდუალური ტრანსპორტის მოძრაობის ქაოსს, საცობებს, სასწრაფო და სახანძრო ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას!

ექიმებისა და მეხანძრეების ყოველი წუთი ხომ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენასთან არის დაკავშირებული. ხალხმრავალი მიტინგები და შეკრებები იწვევენ ანტისანიტარიას ხმაურს, უწესრიგობას. გვეგონა, რომ ყველაფერი ეს წარსულს ჩაბარდა, საზოგადოება ამაღლდა ამ მედროვე პარტიული „ლიდერების" თავის გამოჩენის, ჭიქაში ქარიშხლის ატეხვის უღირს მეთოდებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო დღეების ამბავმა ჩვენი ოპტიმიზმი გააქარწყლა.

მივმართავთ ქალაქის მერიას, ბატონ კახა კალაძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ტყემალაძეს, დედაქალაქის ურბანული სპეციფიკიდან გამომდინარე, მიიღონ დადგენილება, გონივრული გადაწყვეტილება ქალაქის ცენტრალურ უბნებში მიტინგებისა და შეკრებების აკრძალვაზე! რა თქმა უნდა, ეს არ ეხება საერთო ეროვნულ დღესასწაულებს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ გარდა პარტიათა და ეგზალტირებულ მოქალაქეთა გამოხატვის უფლებებისა, არსებობს ათასჯერ მეტი, თბილისელთა ნორმალური ცხოვრების უფლებები.

თბილისის მერიამ, ქალაქის განაპირა უბნებში უნდა გამოყოს შესაფერისი ადგილი (ადგილები) შეკრებებისათვის, მიტინგებისთვის. კეთილმოაწყოს ტერიტორია, უზრუნველყოს სანიტარიული კვანძებით, განათებით, გახმოვანებით, ავტოსადგომებით, მოძრავი ბუფეტებით.

გვჯერა, გამოვხატავთ თბილისელთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრს.

**ვახტანგ დავითაია, თენგიზ გოგოლაშვილი, თამაზ დოგრაშვილი, ვახტანგ დოგრაშვილი, მერაბ გუჯაბიძე,**

არქიტექტორები

# გიორგი კალანდია: ბედნიერი ვარ, რომ საკუთარ ხალხს დაუთმეს და კანონი უკან გაიწვიეს

...ჩემს სათქმელს ასე დავიწყებ: მახსოვს 1991 წელს, როცა ჩემს მშობელთან და მეგობრებთან ერთად ზალტინის ჯარე-



ბის რუსულ ბომბებს სამეგრელოში ვემალებოდი, ბევრი დღევანდელი „ევროპიელი" მამიკოებთან ერთად რუსთაველზე იდგა და დსთ-ში შესვლას დაჩოქილი ითხოვდა! ახლა არ მითხრათ, მაშინდელი დრო არ გვახსოვსო! არცერთი თქვენგანი ჩემზე უმცროსი არაა.. ჰოდა, მაშინ ისტორიის ბნელ მხარეზე ოჯახებიანად რომ იყავით, ამას რა ეშველება?! რა მორალური „ბექგრაუნდი" გაძლევთ უფლებას საქართველოს მომავალზე დღეს ისაუბროთ?!... დიახ, ძალიან ვამაყობ, რომ ტელეკომპანია „იმედში" ვმუშაობ, აქაური ჟურნალისტები თვალებაცრემლებულები არ კითხულობენ საყვარელი პოლიტიკოსების წერილებს, არც ფეიკებს ავრცელებენ და არც „პოლიტ ლიდერებად" გარდაიქმნენ.... დღეს ვიღაც არშემდგარს, მორიგი სიყალბე გაუვრცელებია, რომ თითქოსდა სტამბოლში, რომელიღაც კაფეში არ შევუშვივარ, მაგრა გამეცინა, რადგან მტკნარი ტყუილია, არასოდეს ასეთი რამ არ მომხდარა, პირადად მე არც არცერთ კაფეში არ მომნდომებია შესვლა და არც არავის უთქვამს ჩემთვის უარი... თუმცა, ამ ფეიკის ერთ-ერთ არხზე გავრცელებამ (მოგვიანებით წაუშლიათ) კიდევ ერთხელ დამანახა ჩემი „კოლეგების" მორალური სახე, რომლებიც მზად არიან ყველას, ვინც მათ აზრზე არ ვართ სამოსზე დავითის ვარსკვლავი დაგვკიდონ და ბოლოს გვჟლიტონ ისე, როგორც ამას ფაშისტები აკეთებდნენ (თუმცა, რა მიკვირს მათგან, 1992 წლიდან ასე დუმილით არ ეგებებოდნენ განსხვავებულად მოაზროვნეების მიტინგებზე ხოცვას?) ... ამ ამბავმა საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტიც გამახსენა, დღეს მავანი მის სტატუსებს აზიარებს, მისგან ჯილდოებსა და პრემიებს იღებს, არადა, იყო დრო როცა მის საჯარო ბულინგს ქუჩასა თუ კაფეში სიხარულით, ან მინიმუმ დუმილით ხვდებოდნენ, მისი მხარდამჭერისთვის ჩემ ლანძღვაზე კი აღარაფერს ვამბობ..

დაბოლოს!... ბედნიერი ვარ რომ კანონი უკან გაიწვიეს, საკუთარ ხალხს რომ დაუთმეს.. მე კი მომავალშიც ასე მოვიქცევი, აზრს მანამ არ დავაფიქსირებ, სანამ საკითხს (თუ კანონს) საკუთარი თვალით არ გავეცნობი, მესმის რომ მავანი კანონის წაკითხვის სურვილმა გააბრაზა, თუმცა მე ასეთი ადამიანი ვარ, დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამიანი... სწორედ ესაა ევროპელობა! საქართველოს გაუმარჯოს! არა – რუსეთს და არა რუსულ ფაშიზმს!..



# დაპირისპირებამ გეოპოლიტიკური შესაძლებლობა არ უნდა დაგვაკარგვინოს!

**ჩვენი ქვეყნის ისტორიული ხვედრი გამოწვევებითა და საფრთხეებით იყო ყოველთვის აღსავსე. მიუხედავად ამისა, მამაცი ქართველი ერი არასდროს უშინდებოდა მტერს და მუდამ გამოხატავდა მხარდაჭერას მოყვარისადმი. ჩვენ თავისუფალი და ღირსეული საზოგადოება ვართ, საზოგადოება, რომელიც 9 აპრილს არ შეუშინდა საბჭოურ, რუსულ სამხედრო ძალას და მედგრად იბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.**

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 32 წელია სუვერენული საქართველო იბრძვის საერთაშორისო არენაზე ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, რაც გულისხმობს ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში სრულფასოვნად მონაწილეობას. ამ საგარეო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, რაც ქვეყანას მისცემს მეტ უსაფრთხოებას, განვითარებას, კეთილდღეობას და გეოპოლიტიკურად მოწყვლად გარემოში სახელმწიფოებრივი ინტერესების უზრუნველყოფის რეალურ მექანიზმებს, საშუალებებს განამტკიცებს.

წლებია საქართველოს ევროპული მომავლისათვის ახალგაზრდები, მოხელეები, დიპლომატები, სამოქალაქო და აკადემიური წრეები, პოლიტიკოსები, მედია ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორი და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, თავიანთი ფუნქციების ფარგლებში, ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რომ ყველა საკვანძო მიმართულებით განვახორციელოთ რეფორმები და ევროპულ სტანდარტებს მეტად დავუახლოვდეთ. ამ ძალისხმევის შედეგად, პოზიტიური ცვლილებების თვალსაზრისით, საქართველომ რეგიონში ლიდერი სახელმწიფოს ადგილი მოიპოვა. ამა წლის პირველ თებერვალს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური ანგარიში პრაქტიკულად ასახავს საქართველოს მიერ წლების განმავლობაში განხორციელებულ მთელ რიგ ინიციატივებს თუ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა იქცეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ევროინტეგრაციის გზაზე მეტი ხელშესახები შედეგის მისაღწევად.

**როგორც გეოპოლიტიკური მოცემულობა, ასევე აქამდე განხორციელებული რეფორმები და 12 პრიორიტეტზე კონცენტრირება ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენენ ევროპული ამოცანების შესასრულებლად. თუმცა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებამ სერიოზული კითხვის ნიშნები გააჩინა. ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გამყარებულ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, რაც გულისხმობს კონსტიტუციური ორგანოების მიერ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ყველა იმ ზომის მიღებას, რაც ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს სრულ ინტეგრაციას უზრუნველყოფს.**

გასული წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი საომარი, აგრესიული მოქმედებების შედეგად, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის გამოწვევები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ეს მოცემულობა არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვდა. რუსეთის აგრესიიდან რამდენიმე დღეში, 2022 წლის 28 თებერვალს უკრაინამ ევროკავშირში დაჩქარებული წესით გაწევრიანების შესახებ განაცხადი წარადგინა.

**ამ გადაწყვეტილების შემდეგ, იმავე წლის 3 მარტს საქართველომ და მოლდოვის რესპუბლიკამ ანალოგიური განაცხადით ევროკავშირს მიმართეს. საქართველოს ევროპული პერსპექტივა მიანიჭეს, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით ნიშნავს იმის გაცხადებას, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა და მას აქვს შესაძლებლობა ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს. თუმცა დღეს საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვება, რაც გაწევრიანების წინარე ინსტრუმენტია და ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას, ევროკავშირის ფინანსური, პოლიტიკური მხარდაჭერის გაზრდის საფუძველზე, განსაზღვროს მისი ევროპული მომავალი.**

ამასთან, კანდიდატის სტატუსის მოპოვებისათვის აუცილებელია 12 პრიორიტეტის შესრულება. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი არღვევს პირველ, მეშვიდე და მეათე პრიორიტეტებს, რადგან იწვევს საზოგადოებაში განხეთქილებას, შეუძლებელს ხდის პოლარიზაციის შემცირებას, ასუსტებს სამოქალაქო საზოგადოებას და აფერხებს თავისუფალი მედია გარემოს უზრუნველყოფას. ამდენად, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ხელს უშლის ევროპული, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს და ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაეს კანონს. ასევე, ის არ შეესაბამება იმ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფოები ვალდებულები არიან თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიისათვის სათანადო გარემო შექმნან. ეს კი ფუნდამენტია დემოკრატიული სისტემის განვითარებისა და ადამიანის უფლებების დასაცავად.

ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროკავშირიდან, ნატოდან, ევროსაბჭოდან, გაეროდან მოგვიწოდეს არ მიგვეღო კანონპროექტი, რომელიც დააზიანებდა ჩვენს ურთიერთობებს და შესაბამისად, გაართულებდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების, ამოცანების საერთაშორისო არენაზე მიღწევას. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც რუსული ოკუპაციის, ანექსიის პირობებში საქართველო მთელი რიგი საფრთხეების, გამოწვევების წინაშე დგას და ქვეყნის ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად საჭიროა პარტნიორებთან არა მხოლოდ თანამშრომლობის შენარჩუნება, არამედ გაღრმავება, განმტკიცება.

**მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოსახლეობის ნებისა და პარტნიორების რეკომენდაციების, რჩევების გათვალისწინებით კანონპროექტის მიღების პროცესი შეჩერდა. მეორე მოსმენით ჩავარდნილი კანონპროექტი სასესიო პერიოდში, 1 თვის განმავლობაში პლენარულ სხდომაზე კენჭისყრისათვის არ უნდა წარადგინონ, რათა სამართლებრივად, საბოლოოდ, უარყოფილად ჩაითვალოს. მეორე კანონპროექტის შემთხვევაში ამ პროცედურების გავლა არ ხდება, რადგან პირველი მოსმენით არ მიუღიათ და ხელმოწერებით მისი გაწვევა შესაძლებელია. ეს აუცილებელია ქვეყანაში მშვიდობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჩვენი ევროპული, დემოკრატიული განვითარებისათვის. თუ დაპირისპირებამ გეოპოლიტიკური შესაძლებლობა დაგვაკარგვინა, ჩვენი სამშობლო ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდება. დღეს გაერთიანება და ქვეყნის ეროვნული პროექტის – ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებაა ის გზა, რომელიც საქართველოს უკეთეს შესაძლებლობებს მოაპოვებინებს. წინ, ევროპისკენ ერთიანობით!**



**ხათუნა ბურკაძე**



## რამაზ საყვარელიძე: ვანო მერაბიშვილის ბაქიბუქი მტკნარი სიცრუეა!

**ვანო მერაბიშვილი** „თბილისურ მაიდანზე“ საუბრობს და ამბობს, რომ ამ რეჟიმის დღეები დათვლილია. ყოფილი შს მინისტრი აცხადებს, რომ საქართველოში მიმდინარე აქციების ერთ-ერთი მიღწეული მიზანი იქნება **მიხეილ სააკაშვილის** გათავისუფლება. მერაბიშვილმა ჟურნალისტ **ევგენი კისილიოვთან** საუბრისას აღნიშნა, რომ პარტია პირველ საკითხად აყენებს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებას და ძალიან აქტიურად მუშაობს აშშ-სთან და მიზანი თითქმის მიღწეულია!!!

მერაბიშვილის და, ზოგადად, რადიკალური ოპოზიციის ზნის შეცვლა რომ რთულია, ეს ცხადია, რომელიც თავადვე ამბობს, რომ მიზანი იყო პოლიციის კორდონის ნებისმიერ ლოკაციაზე გარღვევა, მთავარი მიზნის – მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მისაღწევად. გარდა ამისა, მერაბიშვილ-კეზერაშვილის მიერ მოწყობილი არშემდგარი რევოლუციის სახე იყო უკრაინაში მებრძოლი „ქართული ლეგიონის“ წევრების საგანგებოდ ჩამოყვანა საქართველოში და რუსთაველის გამზირზე გამოყვანა. პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, სააკაშვილმა დააბრალა რუსეთის კაცობა მერაბიშვილს და თუ მერაბიშვილის ორგანიზებულია ეს ამბავი ე.ი. რუსეთი დგას ამ მოვლენების უკან.

დღეს ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძეს** გვესაუბრება.

**– მერაბიშვილის ინტერვიუდან თუ გამოვალთ, თბილისური მაიდანი დასაშვებია. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თბილისური მაიდანი ვიხილოთ?**

– მათ განცხადებებში მაიდანი ფიგურირებს, მაგრამ ცუდად გენიშნება ადამიანს, როცა მერაბიშვილი ამბობს, რომ ამერიკელებთან კარგად გვაქვს საქმეო. როცა ადამიანი ლაპარაკობს, რომ გადატრიალებას აკეთებს და ამავე დროს იძახის, რომ ამერიკელები ამაში დაგვეხმარებიანო, რაღაზეა ლაპარაკი. ცუდი განცხადებაა იმათ მიმართ, ვისი იმედი თვითონ აქვთ, კერძოდ ამერიკელების მიმართ. ე.ი. არანაირი რუსული კანონის თემა არ იყო. რეალურად გადატრიალების მცდელობა იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკრაინიდან ჩამოიყვანეს მებრძოლები. შეიძლება ძალისხმევაც მაგისკენ მიდის, რომ გადატრიალება მოხდეს.

**– დღევანდელ ამერიკას ნუთუ ხელს აძლევს საქართველოში ახალი გადატრიალების მოწყობა და მისთვის მხარდაჭერა, როგორც ამას მერაბიშვილი ამბობს?**

– წესით, ამერიკას არ უნდა აწყობდეს ეს გადატრიალება, მაგრამ მეორე მხრივ, მე თვითონ ვარ მოწმე, რომ 2003 წელსაც არ აწყობდა ამერიკას შევარდნაძის გადატრიალება. მსხვილი და ძლიერი ფიგურა იყო, ამერიკაზე ჰქონდა ორიენტაცია, ევროპის და ნატოს კარებზე პირველმა მან დააკაკუნა სწორედ, მაგრამ მაინც გადატრიალებისკენ წაუვიდა ქვეყანა. ამიტომ, იმის იმედი, რომ ამერიკელებმა შეიძლება გაითვალონ კარგად და ამ კარგი გათვლის შედეგად იმოქმედონ, მე არ მაქვს. **ძალიან ბევრია ასეთი შეცდომა ამერიკის საგარეო პოლიტიკაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს არის ქვეყანა, რომელმაც ერთი ციცქნა კუბის საკითხი ვერ გადაწყვიტა, მაშინ, როდესაც ფიდელ კასტრო ამერიკას მიადგა და ამერიკამ რომ უთხრა უარი, მერე გადმოინაცვლა საბჭოთა კავშირზე.**

აგერ, ახლახან დაიხურეს ქუდი და ავღანეთიდან სამარცხვინოდ გამოიქცნენ, უამრავი ხალხი საკუთარი პოლიტიკის შეცვლის მსხვერპლად დატოვეს, მაგრამ რატომ შეიცვალა ეს პოლიტიკა ვერავინ ვერ გაიგო, ისევე როგორც აქამდე რატომ იყვნენ და ა.შ. ამერიკა არაა მთავარი თემა, მთავარია ის, რომ შეიძლება ამერიკულმა და შეიძლება საკმაოდ მაღალმა ჯგუფებმაც შეცდომები დაუშვან გათვლებში. თვითონ რომ აწყობთ სწორედ იმ ფიგურის მხარდაჭერაში დაუშვან შეცდომა და გადადგან ის ნაბიჯი, რომელიც მათაც არ აწყობთ. ამიტომ, არ გამოვრიცხავ იმას, რაც მერაბიშვილმა თქვა – გადატრიალებას ვაპირებთ და ამერიკა გვეხმარებაო!..

**– ხელისუფლების ქუჩიდან შეცვლის მიზანს მიაღწევს მერაბიშვილი და ამ შემთხვევაში ამერიკა?**

– არჩევნებით შეცვლაზე არავინ ლაპარაკობს, მაგრამ ასეთი ძალადობით შეცვლის ვარიანტს მიაღწევს თუ არა, ასე დგას საკითხი და მე მგონი, ვერ მიაღწევს. 11 წელია ვუყურებთ, რომ ვერც ერთ არჩევ-



# რუსეთიდან კანადამდე, საქართველოზე გადავლით!!!

## „როიტერი“: კანადის მთავრობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრის შესაქმნელად მუშაობას იწყებს

**ქვეყნის არჩევნებში ჩინეთის შესაძლო ჩარევის ცნობების ფონზე, კანადის მთავრობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრის შესაქმნელად მუშაობას იწყებს,** – ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ კანადის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრზე დაყრდნობით ავრცელებს.

**„დღეს მე ვაცხადებ კონსულტაციების დაწყებას, რათა განისაზღვროს, როგორ შევქმნათ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის ახალი რეესტრი კანადაში“,** – განუცხადა კანადის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრმა, მარკო მენდიჩინომ მედიას. მისი თქმით, ინიციატივის ერთი მიზანი იქნება უცხო ქვეყნების კანონიერ ლობირებასთან დაკავშირებით გამჭვირვალობის ხელშეწყობა. **ამგვარი რეესტრის არსებობის შემთხვევაში, პირები, რომლებიც მოქმედებენ უცხოური სახელმწიფოს სახელით, მისი მიზნების მისაღწევად, ვალდებული იქნებიან, გაასაჯაროონ მათი კავშირები მათ დამსაქმებელ მთავრობასთან.**

როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, მსგავსი რეესტრები აქვთ აშშ-სა და ავსტრალიას.

**კანადის მთავრობამ რეესტრზე მუშაობის შესახებ მას შემდეგ განაცხადა, რაც ადგილობრივ მედიაში სადაზვერვო წყაროებზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ჩინეთი კანადის 2021 და 2019 წლების არჩევნებში ჩარევას ცდილობდა. ჩინეთი აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფს.**

**პრემიერ-მინისტრმა, ჯასტინ ტრიუდომ და კანადის სპეცსამსახურებმა გავრცელებულ ცნობებთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთეს. საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. როგორც ტრიუდომ გასულ ორშაბათს განაცხადა, ის დანიშნავს სპეციალურ გამომძიებელს ჩინეთის მხრიდან არჩევნებში შესაძლო ჩარევის საკითხზე სამუშაოდ. აღსანიშნავია, რომ კანადის მთავრობის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა განცხადება, რომელიც მოუწოდებს კანადის საზოგადოებრივ ჯგუფებს, ჩაერთონ კონსულტაციებში უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრის საკითხთან დაკავშირებით.**

**მთავრობა კონსულტაციებში ჩართვისკენ მოუწოდებს აკადემიურ წრეებს, იურისტებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს და დიასპორებს.**

### გიორგი იაკობაშვილი კანადაში უცხოური გავლენის რეესტრის შექმნაზე!..



**ეს ნიუსი გულზე მალამოდ დაედებათ ლევან ხაბეიშვილს, თეა თუთბერიძეს და „დინამო თბილისის“ ადმინისტრაციას: „კანადელი ლიბერალები უცხოური გავლენის რეესტრის შექმნას გეგმავენ, რომელიც კანადას შიდა საქმეებში უცხოური ჩარევისგან დაიცავს, ასე ეხმაურება For.ge-ის რედაქტორი გიორგი იაკობაშვილი გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კანადის მთავრობა, ქვეყნის შიდა საქმეებში უცხოური გავლენის ჩარევის პრევენციის მიზნით, სარეგისტრაციო სისტემის შემოღებას გეგმავს.**

კანადელი ენჯეოშნიკები ვალდებულები იქნებიან, დამქირავებელ სახელმწიფოებთან ყველა სახის კავშირი ღია გახადონ. არ გახდიან და... ჯარიმა და პატიმრობა ზედ აქვთ, ანუ, როგორც აფროაფრიკელთა ბელადი იტყოდა – მაკუმბა!!! ხოლო როგორც იტყოდა ენდოკრინოლოგი ხაჩიკიანი – ჰაიტარაკუმენ რესპუბლიკა.

ახლა ის დროა, პაატა ბურჭულაძე და ელენე ხოშტარია სადმე ტორონტოში ან მონრეალში დარბოდნენ და ჩხაოდნენ: „არა რუსულ კანონს! არა რუსულ კანონს!“

**ჩვენ კიდევ... ჩვენ სად ვეტენებით – რა ნატო, რის ევროკავშირი... ამერიკა მაგ კანონით ცხოვრობს, ევროპა და კანადა ეგეთი კანონის მიღებას აპირებენ...**

**ან ჩვენც მივიღოთ ეგ კანონი და ანაც ამაზონის ტყეების ველურ ტომებს შევეკრათ, როგორც მიერთებული ტრიტორია.**

**იმათ არც რუსული კანონი იციან და არც ჩრდილოკორეული კონსტიტიტუცია, ჩვენ კი ის ვიცით, რომ ხვალზეგ კორუფციისთვის ან კუბილიუსს დაიჭერენ ან – ანა ფოტიგას. ჰოდა, გეკითხებით: გვინდა ჩვენ რუსული კანონებით მცხოვრები ნატო და კორუფციით გამოხრული ევროკავშირი? ეჰ, რა მაცინებს, რა“!**

### დავით ქართველიშვილი: მოვითხოვ ქალბატონი კელი დეგნანისგან საჯარო ახსნა-განმარტებას, რით განსხვავდება კანადის საკანონმდებლო ინიციატივა „რუსული კანონისგან“?!



„ხალხის ძალის“ წევრი **დავით ქართველიშვილი** ეხმიანება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ კანადის მთავრობა აპირებს შემოიღოს სარეგისტრაციო სისტემა, რომელიც ქვეყნის შიდა საქმეებში უცხოური გავლენის ჩარევის პრევენციას მოემსახურება. ქართველიშვილი ამერიკის ელჩს სთხოვს ახსნას, რით განსხვავდება კანადის საკანონმდებლო ინიციატივა „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტისგან.

**„ამაზე არაერთხელ გავამახვილე ყურადღება და აი, ეს დღეც დადგა: კანადის მთავრობა გეგმავს სოციალური სარეგისტრაციო სისტემა-რეესტრის შემოღებას, ქვეყნის შიდა საქმეებში უცხოური გავლენის ჩარევის პრევენციას მიზნით - კანადის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრმა, მარკო მენდიჩინო უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრის შესაქმნელად, კონსულტაციები უკვე დაიწყო! კი არ ვთხოვ, მოვითხოვ ქალბატონი კელი დეგნანისგან საჯარო ახსნა-განმარტებას: რით განსხვავდება კანადის საკანონმდებლო ინიციატივა „რუსული კანონისაგან“ და „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული პროექტისგან. დუმილის შემთხვევაში, ეჭვი, რომ თბილისის „მაიდანიზაციის“ ძირითადი ტრიგერ-სლოგანის („რუსული კანონი“) უკან სწორედ აშშ-ის საელჩო იდგა – გადაიზრდება მტკიცებულებათა კატეგორიაში!“**

### ნინო ფოჩხუა: დარწმუნებული ვარ, ბევრი ქვეყანა მიიღებს ამ კანონს!

**„ჯერ ევროპარლამენტის ყველაზე დიდი პარტიის განაცხადი, ახლა კანადის მთავრობა. რაო, ეს არ იქნება რუუუსული კანონი, ეს არ იქნება ცივილიზებულ სამყაროსთან დაშორება?“** – ასე ეხმიანება ექსპერტი ნინო ფოჩხუა გავრცელებულ ინფორმაციას, რომ კანადის მთავრობა აპირებს შემოიღოს სარეგისტრაციო სისტემა, რომელიც ქვეყნის შიდა საქმეებში უცხოური გავლენის ჩარევის პრევენციას მოემსახურება.



**„ჯერ ევროპარლამენტის ყველაზე დიდი პარტიის განაცხადი, ახლა კანადის მთავრობა. რაო, ეს არ იქნება რუუუსული კანონი, ეს არ იქნება ცივილიზებულ სამყაროსთან დაშორება? დარწმუნებული ვარ, ბევრი ქვეყანა მიიღებს ამ კანონს, მაგრამ ის რაც შეიძლება სხვისთვის, არ შეიძლება ჩვენთვის, ასეა? მე ისევ ჩემს აზრზე ვრჩები, ეს კანონი იყო მიზეზი პროტესტის აგორების, არ იქნებოდა ეს, იქნებოდა სხვა.**

**ჩვენ ეტყობა დაბალი ღობე გვნახეს, რა ინტერესი აქვთ ასეთი გარკვეულ ძალებს ჩვენი ქვეყნის, ასეთი ზეწოლა რომ ხორციელდება. ნურავის ეგონება, რომ კანონის გაწვევა ხელისუფლების დამარცხებას და მერაბიშვილი-ლომჯარიას გამარჯვებას ნიშნავს. ეს ჩვენი, შეცდომაში შეყვანილი, პირადი ინტერესებისთვის გამოყენებული, ახალგაზრდების დაცვა იყო მოსალოდნელი უბედურებისგან, რაც აშკარად რეალურად იდგა“.**

### ვატო შაქარიშვილი: ლომჯარია ჩარტერული რეისით გაფრინდება, რომ გადაარჩინოს დემოკრატია კანადაში

**„ნინო ლომჯარია ჩარტერული რეისით უკვე გაფრინდა კანადაში, იმისავის რომ გადაარჩინოს დემოკრატია კანადაში, ასევე კანადელ ხალხს მოუწოდოს გარიყონ და გამარჯობაც კი, აღარ უთხრან ტრუდოს,“**- წერს სოციალურ ქსელში მოძრაობა „აიას“ თანადამფუძნებელი ვატო შაქარიშვილი გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ კანადელი ლიბერალები უცხოური გავლენის რეესტრის შექმნას გეგმავენ, რომელიც კანადას შიდა საქმეებში უცხოური ჩარევისგან დაიცავს.



**„კანადის მთავრობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრის შექმნას გეგმავს. ნინო ლომჯარია ჩარტერული რეისით უკვე გაფრინდა კანადაში, იმისათვის რომ გადაარჩინოს დემოკრატია კანადაში, ასევე კანადელ ხალხს მოუწოდოს გარიყონ და გამარჯობაც კი, აღარ უთხრან. თავის მხრივ, ამ უკანასკნელს (ტრუდოს! – ბრძანება გამოუცია, ეგ ჰიტლერის მიმდევარი აქ არ დამანახოთ, ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშების შემოდინებას არ დავუშვებო)“.**

---

ნებში ნაციონალებთან მიახლოებულმა ფიგურებმაც კი ვერ გაიმარჯვეს. როცა ამბობს მერაბიშვილი, რომ ჩემს მიერ არის ორგანიზებული აქციაო, ამ ახალგაზრდებმა პოლიტიკოსები თითქმის არ გაიკარეს. ჭიჭე ვაშაძეს მიკროფონი გამოართვეს და უთხრეს, რომ შენ ლაპარაკის ღირსი არ ხარო. ასე რომ, რა ფენებზე დაყრდნობით ფიქრობს გინდ ამერიკა და გინდ მერაბიშვილი გადატრიალებაზე?

**– იქნებ იმ ძალებზე დაყრდნობით, რომლებიც საგანგებოდ ჩამოიყვანეს უკრაინიდან?**

– ძალისმიერი გადატრიალება? კი, ბატონო. მაშინ ძალას, ისევ ძალა დაუპირისპირდება. მეტი ვარიანტი არ არის. სახელმწიფოს ძალით თუ დაუპირებ გადატრიალებას, იქიდანაც ძალა გაჩნდება და ეს სამოქალაქო ომიც აღარ იქნება, სწორედ იმიტომ, რომ უკრაინული ბლოკი ინტენსიურად ჩაერთვება და მერე უკვე ძალა გადაწყვეტს. მაგრამ არის კიდევ ერთი ვარიანტი, გავიხსენოთ, სააკაშვილმა დააბრალა რუსეთის კაცობა მერაბიშვილს. თუ მერაბიშვილის ორგანიზებულია ეს ამბავი, ე.ი. რუსეთი დგას ამ მოვლენების უკან? და თუ მერაბიშვილი „ამტკიცებს“, რომ ამერიკა მეხმარეობაო, მაშინ რა გამოდის, დესტაბილიზაციის უკან ამერიკის და რუსეთის ალიანსია? ძალიან ჩახლართული სქემა გამოდის!

**– მაგრამ რამდენად დამაჯერებელია ეს სქემა?**

– არადამაჯერებელია, ტყუილ ბაქიბუქად მეჩვენება მისი ეს გადამტრიალებლის პოზა – მე ვარ ის, ვინც ხელისუფლებას გადაატრიალებსო. თუ გადატრიალებას აპირებდნენ, კარგი პირობა იყო საიმისოდ - მოსახლეობის დიდ ნაწილს ეგონა, რომ არიქა, ევროპულ გზას გვიკეტავენო, მაგრამ გარდა ვანდალური პროცესებისა, ქუჩაში ახალგაზრდების მხრიდან, სხვა, რასაც ხელისუფლების ხელში აღება ჰქვია, ამისთვის არაფერი გააკეთეს. აი, ისეთი, რაც გააკეთა თავის დროზე 2003 წლის რევოლუციამ. ძალაუფლება რეალურად აიღეს და ამის ერთ-ერთი პირობა იყო ის, რომ შევარდნაძეს მისმა გარემოცვამ უღალატა. დადიოდა ამერიკის ელჩი და ყველას ეუბნებოდა შევარდნაძის გვერდით არ დარჩეთ, თორემ ამერიკა გაგიბრაზდებათო. რა დაიჭირეს ამერიკელებმა სააკაშვილის გაყვანით, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ კარგად ორგანიზებული იყო - ხალხის ვარჯიში; „რუსთავი 2“-ის ორწლიანი პედალირება; ტვინების გამორეცხვა 2000 წლიდან იწყებს ტრიბუნად გადაქცევას; „კმარა“ ქუჩაში; ახალგაზრების დატრენინგებული რაზმები, რომლებიც იმუშავებდნენ რევოლუციაზე. ბევრი კომპონენტი იყო, გარემოცვის გათიშვა, ფინანსური და მედია რესურსი „რუსთავი 2“-ის სახით.

სად გვაქვს დღეს ასეთი სურათი? ამაზე დიდი აქცია ოპოზიციას არ ღირსებია და ჰქონდა ამ აქციას ისეთი მედიაუზრუნველყოფა, რომ ხელისუფლების ყოფნა-არყოფნასთან მისულიყო საკითხი? – არა!

**– მერაბიშვილი ამბობს, რომ პარტიის მიზანია სააკაშვილის გათავისუფლება, მაგრამ აქციის მონაწილეები რომ სააკაშვილისკენ დაგვეძრა, იქ ძალოვანები დაგვხვდებოდნენ და დაარბევდნენო.იყო ასეთი გეგმა?**

– ტყუის მერაბიშვილი. მიშასთან რომ მიეყვანა ეს ხალხი, ცხადი გახდებოდა, რომ ნაციონალების სამზარეულოს ემსახურებიან და აღარ გაყვებოდნენ. ამიტომ არ მიიყვანა მიშასთან. არ მალავას იმას, რომ ნაციონალების ამოცანებს უნდა ემსახურებოდეს მისი ორგანიზებული საქმე, თუკი მართლაც მის მიერ იყო ორგანიზებული და ეს არ იყო კეკლუცობა კისილიოვთან.

მინდა ვთქვა, რომ უკრაინაში მყოფი ქართველი მებრძოლების გამოჩენა არ არის შემთხვევითი. ზელენსკის და პოდოლიაკის განწყობილება, რაც მთავარია, იქ მყოფი ქართველი მეომრების განწყობილება, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები არიან, იძახიან, რომ ჩამოვალთ და გაგათავისუფლებთ მაგ ხელისუფლებისგანო. ძალისმიერ გათავისუფლებაზე არის ლაპარაკი. ეს რეალური ფაქტებია და, რა თქმა უნდა, ამ რეალობას თავისი ანარეკლი ექნება საქართველოში მიმდინარე პროცესებში და ეს ანარეკლი ვნახეთ ახლა.

**თამთა ქარჩავა**

# რაც დედამიწის „ბურთი“ კონტინენტებად დაიყო




**....საქართველოს ევროპაში შესასვლელად ბრძოლა პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მანიპულირებული უნიჭურებისთვისაა მოგონილი!**

ქართულ-ევრო-ამერიკული თაღლითობის თარგზე გაწვრთნილმა, პოლიტიკოსებად წოდებულმა ნაძირალებმა, სამშობლოდან შორს მყოფი, უცოდველი, წარმატებული სპორტსმენების წამოგება სცადეს ამ ანკესზე და მათ, მხოლოდ მტრის ყურისთვის გასახარი ამბავი ამცნეს:

**„ევროპაში შესასვლელად“ – სახელმწიფო პუტჩი, ქვეყნის კიდევ ერთხელ დამხობა და წინასწარწაგებულ ომში ჩართვა უკრაინასთან ერთად, რომელსაც სახელმწიფოდ არსებობის ძალიან მცირე შანსი დარჩენია, ერთადერთი გზაა „რუსების ხელში ჩავარდნილი“ ქვეყნის გადასარჩენად და მმართველობაში მოსასვლელად!“**

უეჭველია, ცალკე ადრესატებმაც მიიღეს, უფრო მარტივად შედგენილი მიმართვა თანადგომის თხოვნით. ბუნებრივია, პასუხებმაც არ დააყოვნა, ახალგაზრდებმაც, უკეთესი მომავლის გზა **„ევროპა და ევროგაერთიანება“ ისურვეს!**

წავიკითხე ჩვენი სასახელო სპორტსმენების ალალი გამონათქვამები და გული დამეწვა...

თვალწინ დამიდგა მათი სკოლაში სწავლის პერიოდი, სწავლების „ევრო-ამერიკული“ სისტემა, სადაც:

**– დაბადების ადგილი, სამშობლო, ტრადიცია, ეროვნება, დედაენა, მეათეხარისხოვანია და მოზარდის ყურადღება, მხოლოდ პირადი ყოფიერების მომენტებზეა გადატანილი.**

**– 12 წლიანი სწავლის პერიოდი კი, ამ ხნის მანძილზე გამომუშავებული ე.წ. „უნარ-ჩვევების“ ათვისება-შეფასებაში გამოიხატება მხოლოდ!**

ამის შემდეგ, რატომ უნდა მოვთხოვოთ ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს, სკოლის პერიოდიდან მოყოლებული, ტიტანური შრომა რომ უწევდათ (ხშირად გაკვეთილების ხარჯზე) იმ შედეგის მისაღწევად, რომლითაც სამშობლოს ასახელებენ, იმის ცოდნა, სიამაყით და ალალად რომ აცხადებენ:

**– „საქართველოს მომავალი ევროპაშია“!**

**– „არსებობს ერთადერთი გზა - ევროპა“!**

**– „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“.**

მოსაპოვებელი და საომარი არ არის, – **„ევროპაც სახლში გვაქვს, ევროპული გზაც და ევროპაშიც ვცხოვრობთ“!**

სამწუხაროდ, არავის უსწავლებია მათთვის (არც ჩვენთვის), ჩვენი ევროპელობა რომ თვალსაჩინო გახდეს, იმაზე გევრად მეტი შრომა და თავდადებაა საჭირო, ვიდრე მათ დაინახეს და გამოსცადეს იმ ქვეყნებში და სპორტულ კლუბებში, სადაც ცხოვრება და გარჯა უწევთ!

დიდი ხანია შევნიშნე:

– მავანი ცდილობს, ახალგაზრდა სპორტსმენები (არამარტო სპორტსმენები), იმ ე.წ. **„პოლიტიკურ“, არაიშვიათად „ანტისახელმწიფოებრივ“ მოვლენებში გარიონ**, რომლებიც, ასევე დიდი ხანია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს და მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, რომელსაც:

**– ქვეყნის და მისი გაუბედურებული მოსახლეობის დაქცევა ჰქვია!**

**– ვინ არიან ისინი, ვინც 9 მარტს, დილით, მთავრობის სახლს, მის შემოგარენს და ქვეყნის პოლიციას ცეცხლს უკიდებდნენ?**

ეს ის ხალხია:

რომელთა უმრავლესობას თქვენი წარმატებები, საკუთარი იდეების მარცხად მიაჩნია და დედის სულს არ გისვენებენ სამშობლოში, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი წარმატება, ქვეყნის ხელისუფლების წარმატებად მიაჩნიათ!

ზემოთ ვახსენე:

**– „ევროპაც სახლში გვაქვს, ევროპული გზაც და ევროპაშიც ვცხოვრობთ“, ოღონდ, მოსავლელია მხოლოდ და ჩვენი „ევროპელობა“ რომ თვალსაჩინო გახდეს, ათმაგი შრომაა საქართველოში საჭირო, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც თქვენ გიხდებათ ცხოვრება და თავის წარმოჩენა!**

ჩვენო სასახელო შვილებო, ახალი არ იქნება, თუ ვიტყვი:

**– არცერთი თქვენგანი არ ხართ მდიდარი ოჯახებიდან, ფუქსავატი ცხოვრება თქვენ და თქვენს მშობლებს არ გქონიათ (რაც, არა მარტო ქართველი, მთელი მსოფლიოს წარმატებული სპორტსმენების ბიოგრაფიის ნაწილია), მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით მიაღწიეთ იმას, რომ შეცვალოთ ცხოვრების მატერიალური მხარე, სხვებსაც დაეხმაროთ და ეცადეთ, იგი, ქვეყნის ცხოვრების წესად აქციოთ!**

ყოველივე ამის ფონზე, როგორ წარმოგიდგენიათ:

**– რა გზას ადგანან თქვენი თანატოლი თანამემამულეები, რომლებსაც არაფერი მოჰკლებიათ ცხოვრებაში და ცივი ნიავი არ მიჰკარებიათ?**

– რამდენი მათგანი გაჰყვება წარმატებული სპორტსმენის უმძიმეს გზას, ვიდრე გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდოდეს?

პასუხი მარტივია:

**– არცერთი მათგანი თქვენს გზას არ გაჰყვება!**

მათთვის ადვილია, მამების მიერ, სახელმწიფო სტრუქტურებში გაკვალულ გზაზე სიარული. საამისოდ, როგორც ზემოთ ვახსენე:

**– სკოლაში „ევრო-ამერიკულ“ თარგზე გამოჭრილი „უნარ-ჩვევების“ ცოდნის მიღება და უცხოეთში, უმრავლეს შემთხვევაში ამ „უნარ-ჩვევების“ უცხო ენაზე (ძირითადად ინგლისურად) გადმოცემის სწავლაც საკმარისია.**

ერთი მთავარი მომენტი გამომრჩა:

**– მოსწავლეობის და სტუდენტობის პერიოდში, ქვეყნის დამხობის აქციებში უნდა გქონდეთ აქტიური მონაწილეობა მიღებული, რაც პარლამენტის და მთავრობის ეშელონებისკენ მნიშვნელოვანი საგზურია!**

თავზე საყრელადაა ინფორმაციები ინტერნეტსივრცეში, საქართველოში „მოღვაწე“ პოლიტიკურ ლიდერებზე, რომელთა სიმრავლე (მიუხედავად ჩვენი სიმცირისა) რამდენიმე ათეული ქვეყნის მთავრობას დააკომპლექტებდა.

– არ გაინტერესებთ, სად არიან და რა საქმიანობას ეწევიან მათი სრულწლოვანი შვილები (სპორტსმენობა გამოვრიცხოთ), რამდენი მათგანი ჩამოყალიბდა ქვეყნისთვის საშურ სპეციალისტად?

დიდი ხანია, ეს პრობლემა მაწუხებს, ბევრჯერ ვცდილვარ ზოგიერთი მათგანი წიგნთან სიახლოვით დამეინტერესებინა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან, ისინი, საბოლოოდ:

**– „პოლიტიკისკენ“ გადაიხარნენ, სადაც, „პატრონი თუ გყავს“, საქართველოში ფინანსურ-კარიერული წარმატება გარანტირებულია!**

უნებლიეთ, ერთი ფრთიანი ფრაზა გამახსენდა ქართული ფილმიდან:

**„– ასე, ჩვენ ვერ გავფრინდებით!“**

ჩემი სწავლება არ დაგჭირდებათ, სპორტში წარმატებასთან ერთად, თქვენ თვითონვე მიხვალთ ამ დასკვნამდე და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად წაეშველებით მომავალ თაობებს, მშობლიური უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნის, შესაბამის, უცხოურ უნივერსიტეტებში გასაღრმავებლად!

**ადრე, ქართველი მეცენატები, საქართველოში წარმოების და მისი განვითარების გზით მდიდრდებოდნენ, სწავლასმოწყურებულთა დასახმარებლად ფულს არ ზოგავდნენ, რომ ქვეყანა და მისი მოსახლეობა ფეხზე დამდგარიყო.**

– სამწუხაროდ, დღეს, ქვეყანაში არაფერი იწარმოება; თუ იწარმოება, თითქმის ყველაფერი უცხოელების ხელშია და ისინი, იმას მაინც არ დააფინანსებენ, რაც ქვეყანას სჭირდება!

**ამიტომ, ეს ფუნქცია თქვენ უნდა იღოთ საკუთარ თავზე (ვიცი, აკეთებთ კიდეც) და იგი მარტო ერთი მიმართულებით არ უნდა იყოს მიმართული!**

გახსოვდეთ:

**– თქვენი თანადგომით განსწავლული მომავალი თაობები, დაუფასებელი შრომისგან ჯანგამოცლილ მოსახლეობას ჯანზე მოიყვანენ, ქვეყანასაც ააშენებენ და უამრავ ეკლესია-მონასტერსაც!**

**– ამას რომ მიაღწიოთ, თქვენ არ უნდა გახდეთ პოლიტანგაჟირებულთა დაპირისპირების რომელიმე მხარე!**

**– „ევროპაში შესვლა და ევროპული გზისთვის ბრძოლა“ რომ პოლიტიკური ბლეფია, მე მგონი დარწმუნდით!**

**– ეცადეთ, თქვენს თანატოლებს მოუყვეთ, „ევროპაში ცხოვრება და ევროპული გზა“ რომ უზრუნველი ცხოვრების გარანტია არაა. ეცადეთ, დაარწმუნოთ ისინი, რომ „ევროპაში ცხოვრობენ“ და იგი მათთვის საოცნებო „ევროპულ დონეზე“ თვითონ უნდა ააშენონ!**

ვატყობ, სათქმელი გამიგრძელდა, იმედი მაქვს, უფროსი მეგობრის რჩევად მიიღებთ, რაც წაიკითხეთ.

**– ვიცი, სამშობლო, ყველაზე მეტად იმას სტკივა, ვისაც იგი უცხოობაში ესიზმრება!**

**– სიზმარში ნანახი განსაკუთრებულად ლამაზია!**

**– ცხადში ბევრად უკეთესად გექციოთ იგი, თქვენი მონდომებით და სამშობლოში მცხოვრები თანატოლების აყოლიებით!**

დრო და დრო, კიდევ შეგეხმიანებით!

ულევ წარმატებებს გისურვებთ მსოფლიო სარბიელზე!



**დავით ქობალია**

7-8 მარტი, 2023

**P.S.**

**სანამ სტატიას გამოვაქვეყნებდი, თბილისში პუტჩის ორგანიზატორებმა იტალიურ პრესას მიაწვდინეს თურმე ხმა:**

**ხვიჩა კვარაცხელიას პროტესტმა და გამოქვეყნებულმა პოსტმა შედეგი გამოიღო, საქართველოს მთავრობა პუტინის საამებლად შემოტანილი კანონისთვის მოსახლეობის უმრავლესობას დაუპირისპირდა და დამარცხდა." – დაწერა ILNAPOLISTA-მ.**

**ყურადღებით მომისმინეთ, ჩემო ძვირფასებო:**

**– იტალიელების ეს ქმედება, არც საქართველოს და მითუმეტეს, არც კვარაცხელიას თანადგომა არ არის!**

**იტალიელებმა შესაძლოა არაფერი იციან იმის შესახებ, ამ ინფორმაციის მიმწოდებლები რომ პერმანენტულად:**

**– ხან დედას აგინებდნენ ხვიჩა კვარაცხელიას, ხან ოჯახს, ხან კიდევ პრეზერვატივზე ახატავდნენ მის სურათს, მხოლოდ იმის გამო, რომ იტალიაში ხვიჩას წარმატებას,**



**საქართველოს ხელისუფლების წარმატებად აღიქვამდნენ!**

**ამჟერად კი, ხვიჩა რევოლუციონერად გამოჰყავთ, როდესაც არავინ უწყის, რა უბედურება მოჰყვება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და როგორ აისახება იგი ქვეყნის და მისი საამაყო შვილის მომავალზე!**

**ამიტომ, შეეშვით ხვიჩა კვარაცხელიას და ყველა სასახელო ქართველ ახალგაზრდას, ვისაც წილნაყარობა არ აქვთ თბილისში მიმდინარე აქციასთან!**

**დაიმახსოვრეთ, ყველა უცხოელმა და შინაურმა:**

**– თბილისს არასოდეს დაავიწყდება გადაბუგული რუსთაველი... 9 აპრილამდე კი რამდენიმე დღე დარჩა!**

**– შეიძლება თქვენთვის არაფერს ნიშნავს, რაც ამ დღეებში რუსთაველზე ხდებოდა, მაგრამ უცოდველ ახალგაზრდებს, რომლებსაც სიკეთის მეტი არაფერი უკეთებიათ, ქვეყნის დროშა და ჰიმნი უამრავჯერ აღუმართავთ და აუჟღერებიათ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში:**

**– ნუ გარევთ ამ ბინძურ საქმეში!**

**ორჯერ შევხვდი აზერბაიჯანის დიდ ლიდერს ჰეიდარ ალიევს. პირველი შეხვედრა ოფიციალური ვიზიტის დროს თბილისში გაიმართა. მაშინ დიდმა წინამძღოლმა თავის გამოსვლაში საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს გვითხრა: თქვენ მარტო არ ხართ, თქვენს უკან ძლიერი აზერბაიჯანი დგას. არაფერზე არ ინერვიულოთ, თქვენი ცხოვრება ცოტა ხანში უკეთესობისკენ შეიცვლება.**



## აზერ სულეიმანოვი:

# ჰეიდარ ალიევი იყო ფენომენალური მეხსიერების მქონე პოლიტიკოსი

მართალი გითხრათ, მაშინ არც გვიფიქრია, რომ დიდ ლიდერს აქვს ისეთი მასშტაბური ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. მაშინ ჰეიდარ ალიევმა გვითხრა, რომ პროექტების დიდი ნაწილი, რაც მაქვს მხედველობაში, თქვენთან არის დაკავშირებული. გიყვარდეთ სამშობლო საქართველო, შეეცადეთ გააძლიეროთ იგი, აღზარდეთ შვილები პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ასწავლეთ მათ ქართული ენა. ეროვნულმა ლიდერმა თქვა, რომ მოკლე დროში თქვენ ჩაწვდებით ჩემს ნათქვამს. მართლაც, ცოტა დრო გავიდა და დაიწყო პროექტები, რომელთა განხორციელებისაც ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა.

ჰეიდარ ალიევის რეკომენდაციების შემდეგ, თანამემამულეებში ქართული ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი გაიზარდა. წარმოიდგინეთ, 1999-2000 წლებში აზერბაიჯანელების რიცხვი, ვინც ქართული იცოდა რეგიონებში, დედაქალაქ თბილისის გარდა, ძალიან მცირე იყო. მაგრამ მოგვიანებით მათი რიცხვი გაიზარდა და ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდამ დაიწყო სწავლა ქართულ უნივერსიტეტებში სოკარის ფინანსური მხარდაჭერით. 1995-99 წლებში საქართველოს უნივერსიტეტებში 3-5 აზერბაიჯანელი სწავლობდა, 2007-2010 წლებში კი ეს რიცხვი 3000-მდე გაიზარდა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჰეიდარ ალიევის ცხოვრებისეული გამოცდილების და ბრძნული პოლიტიკის შედეგი იყო.

2002 წელს აზერბაიჯანში იმყოფებოდა დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით. ოფიციალური ფოტოს გადაღებისას ჰეიდარ ალიევმა მიმიწვია მასთან და



მთხოვა, მის მარჯვნივ დავმდგარიყავი. ასეც მოხდა და ერთ მხარეს – ნინო ბურჯანაძე, მეორე მხარეს მე დავდექი.

მსოფლიოში ცნობილ პოლიტიკოსთან და გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწე ჰეიდარ ალიევთან ცალკე შეხვედრაც გვქონდა. დაუვიწყარი იყო მისი გულითადი საუბარი და მამაშვილური შეგონებანი.

ეს რჩევები ეხებოდა როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანს და მსოფლიოს აზერბაიჯანელებს.

**დღევანდელი გადასახედიდან სამაგალითო იყო ორი დიდი პოლიტიკოსის ჰეიდარ ალიევისა და საქართველოს ლიდერის ედუარდ შევარდნაძის მეგობრობა. თბილისში პრეზიდენტ შევარდნაძესთან შეხვედრისას ერთხელ ედუარდ ამბროსის ძემ ხუმრობით თქვა, მდინარე მტკვრის გავლით გაძლევთ წყალს, თქვენ კი ნავთობით გვამარაგებთო! ჰეიდარ ალიევმა სწრაფადვე უპასუხა, არ დაგავიწყდეთ, რომ მდინარე მტკვარი სათავეს თურქეთიდან იღებსო! მისმა ენამოსწრებულობამ დარბაზში საოცარი მხიარულება გამოიწვია.**

**ჩვენ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები, ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით მადლიერი ჰეიდარ ალიევის ჩვენდამი გამორჩეული ზრუნვისთვის.**

წელს, 10 მაისს ამ ისტორიული მოღვაწის დაბადებიდან 100 წელი სრულდება. მისი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულებში.

* * *

**სასიხარულო და საამაყოა, რომ არის ადამიანი, რომელიც აგრძელებს ეროვნული ლიდერის პოლიტიკურ კურსს. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გაამართლა ყველა ჩვენი მოლოდინი, როგორც პრაგმატული ხედვის პოლიტიკოსმა. მან დაადასტურა, რომ თავისი წარმატებული საქმიანობით დიდი მამის ღირსეული მიმდევარია. ამის ნათელი დასტურია აზერბაიჯანის 30-წლიანი ოკუპირებული მიწების გათავისუფლება.**

მსოფლიოში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების ფონზე, ილჰამ ალიევმა მოიგო ომი აზერბაიჯანის კარგად გაწვრთნილი დიდებული არმიის ძალით, როგორც ჭეშმარიტმა, თავგანწირულმა და გონიერმა მთავარსარდალმა. ეს იყო არა მარტო საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების ოცნება, ეს იყო მთელი მსოფლიოს აზერბაიჯანელების ოცნება. პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საკუთარ ხალხს ეს ოცნება აუხდინა. შესაძლოა, აზერბაიჯანში მცხოვრები თანამემამულეები ამას ძალუმად ვერ გრძნობენ, თუმცა, სამშობლოდან შორს მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის ეს ძალიან დიდი ისტორიული და საამაყო გამარჯვებაა. დღეს საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებები სამართლიანად აღიარებენ აზერბაიჯანის გამარჯვებას და უფრო პატივს სცემენ აზერების ერთსულოვნებას.



კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო: ჩვენ ძალიან ვამაყობთ, რომ აღვნიშნავთ დიდი ლიდერის 100 წლის იუბილეს. ეს იუბილე საქართველოშიც ფართოდ აღინიშნება. ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სურვილია დიდი ლიდერის სახელის გაფრთხილება და მისი გადაცემა მომავალი თაობებისთვის.

**დღევანდელმა ახალგაზრდობამ და მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, თუ ვისი მემკვიდრენი არიან.**

**ჩვენ ერთად ძლიერები ვართ და გაუმარჯოს გამთლიანებულ აზერბაიჯანს!**

**მალე საქართველოც გამთლიანებულიყოს! საქართველოს დიდი პატრიარქი ხომ, ქართველი ხალხის სახელით, მუდამ ასე ლოცულობს: „ღმერთო, გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო“!**

**ა. ს.**

⊙ ენაზე მომდგარ სიტყვასა...

# სამეგრელოს სირცხვილი ხარ, შენ!

**პარლამენტის ორი გაერთიანებული კომიტეტის პირველ სხდომა ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელობის დარბაზში მიმდინარეობდა, სადაც იხილებოდა „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ გამჭვირვალობის“ კანონი. საზოგადოებამ იცის, რით დამთავრდა ეს განხილვა. მაგიდების აყირავებით, ურთიერთლანძღვითა და შეურაცხყოფით. აშკარა იყო უარგუმენტო, უსაგნო და პარლამენტის წევრებისათვის შეუფერებელი ლანძღვაგინების ბინძური კორიანტელის მთელი კასკადი...**

ორთავე მხარეს აქვს თავისი სიმართლე. პროცესმა ქუჩაში გადაინაცვლა და უმართავი სახე მიიღო. სამოქალაქო არეულობა და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის დაზიანებისთვის გადადგმული ყოველი ნაბიჯი მიუღებელია. მადლობა უფალს, რომ კომპრომისი მოიძებნა და კანონი გამოწვეულ იქნა. ეს კარგია, მისასალმებელია! ველოდი, რომ ასე დასრულდებოდა.

თუმცა, გონებიდან, ფიქრიდან არ მცილდება პარლამენტის გაერთიანებული ორი კომიტეტის ზემოთ ხსენებული პირველი დღის სხდომიდან მამაკაცის წამოძახილი: „სამეგრელოს სირცხვილი ხარ, შენ!“

ტანში გამცრა ამ ბრაზიანმა წინადადებამ. მართალი გითხრათ კიდევ უფრო დამზაფრა ამ სიტყვების შემდგომ დღეებში სხვადასხვა ტელეარხებზე გამეორებამ. ცხადია, სამეგრელოდან მამაკაცმა დეპუტატმა, სამეგრელოდან ქალ დეპუტატს „უძღვნა“ დამამცირებელი სიტყვები. ხუთიოდე წუთის შემდგომ ისევ სხვა მამაკაცი დეპუტატის ხმა გაისმა „ზრდილობა უნდა ისწავლო, შენ! „ეტყობოდა ისევ ქალი ოპოზიციონერის მისამართით თქვა ეს „დამრიგებლური“ შეგონება.

დარწმუნებული ვარ, ეს სიტყვები ბევრს ეკალივით მოხვდა გულზე. რამდენიმე დღეა თავს ვიკავებდი გამომეხატა საკუთარი დამოკიდებულება კომიტეტის სხდომის იმ „ქაოსისა“ და ერთმანეთის მიმართ გამეტებული „შოტის“ გამო, მაგრამ ახლა, როცა დავის საგანი არ არსებობს. ხმამაღლა უნდა ვთქვა, რომ:

ხალხნო!.. ქალბატონო და ბატონო პარლამენტარებო, ვის თუ არა თქვენ გაგაჩნიათ თმენის ვალდებულება! თქვენ უნდა იყოთ საჩვენებელი ეთიკის, ზრდილობის, განსწავლულობის მხრივ.

იხ. 11 გვ.

# რა შედეგები მოუტანა ევროკავშირში ყოფნამ ხორვატიას ათ წელიწადში?

**ბოლოს ევროკავშირის კარები ათი წლის წინ გაიღო და 2013 წელს მისი ახალი წევრი ხორვატია გახდა. რა შედეგები მოუტანა ევროკავშირში გატარებულმა ათმა წელმა ხორვატიას და როგორ გაუმჯობესდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა? — ეს ის საკითხია, რომელზეც ამ სტატიაში ვიმსჯელებთ.**



სანამ შედეგების შეფასებაზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ **საქართველო და ხორვატია გარკვეული პარამეტრებით საკმაოდ ჰგვანან ერთმანეთს, ორივეს მოსახლეობა დაახლოებით 3.7 მილიონის ფარგლებშია; ტერიტორიის ზომაც თითქმის ერთნაირია. ხორვატიასაც, საქართველოს მსგავსად, ერთი მხრიდან ზღვა და ოთხი სახელმწიფო ესაზღვრება, მათ შორისაა: სერბეთი, სლოვენია, ბოსნია და უნგრეთი.**

ამ მსგავსებების მიუხედავად, **ამ ორ ქვეყანას შორის რამდენიმე მკვეთრი განსხვავებაც არის, მაგალითად, ხორვატიის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 17,500 დოლარს აღწევს. საქართველოში კი მშპ ერთ სულზე 6,700 დოლარის ფარგლებშია. მარტივად რომ ვთქვათ, საქმე გაქვს თითქმის 11,000-დოლარიან განსხვავებასთან.**

კიდევ ერთი ს**აინტერესო ინდიკატორი მედიანური ხელფასია, რომელიც ხორვატიაში 2,200 დოლარს აჭარბებს, საქართველოში კი მედიანური ხელფასის სტატისტიკა ბოლოს ოქტომბერში გასაჯაროვდა და ის 900 ლარს შეადგენდა, რაც მაშინდელი კურსით 320 დოლარი იყო. ანუ ხორვატიაში თითქმის შვიდჯერ უფრო მაღალი მედიანური ხელფასია, ვიდრე საქართველოში.**

**და მაინც, რისი მიღწევა მოახერხა ხორვატიამ გასულ ათ წელიწადში, ანუ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ?**

**— პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკის მოცულობა გაიზარდა თითქმის 16 მილიარდი დოლარით და ამჟამად ის 473 მილიარდის ფარგლებშია. IMF-ის პროგნოზით, 2027 წლისთვის ხორვატიის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 93 მილიარდ დოლარს მიაღწევს, რაც 14 წელში დაფიქსირებული $36-მილიარდიანი ზრდა იქნება.**

გარდა ამისა, **ათ წელში ხორვატიაში უმუშევრობის დონე 20%-დან 7%-მდე შემცირდა, ანუ ხელფასების ზრდის პარალელურად, მკვეთრად გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც. შედარებისთვის, საქართველოში უმუშევრობის დონე ამჟამად 16%-ის ფარგლებშია, 25-დან 29 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში კი ეს მაჩვენებელი 28%-ს აღწევს, რაც საგანგაშოდ მაღალ მაჩვენებლადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.**

რაც შეეხება **სავაჭრო ბრუნვას, ათი წლის წინ ხორვატიის იმპორტისა და ექსპორტის მაჩვენებლები საშუალოდ 20-22 მილიარდის ფარგლებში იყო, ამჟამად კი ორივე ინდიკატორი 40 მილიარდის ფარგლებშია, რაც იმას გულისხმობს, რომ სავაჭრო ბრუნვა გაორმაგებულია. ცხადია, ეს ზრდა ევროკავშირში გაწევრიანებითაა განპირობებული.**

შეიძლება გაგიჩნდეთ შეკითხვა, **თუ რას ყიდის ხორვატია ევროპაში და ამაზე შეგვიძლია ვნახოთ, რომ ხორვატიის უმსხვილესი საექსპორტო საქონელი ელექტრო დანადგარები, ხის მასალები, მსუბუქი ავტომობილები, ფოლადი, ლითონის დეტალები და პლასტმასია. ხორვატიას განსაკუთრებით მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს გერმანიასა და იტალიასთან, აგრეთვე მაღალია ექსპორტის წილი მეზობელ ქვეყნებთან მიმართებითაც.**

**ხორვატიის ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყარო ტურიზმია, რომელზეც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 20% მოდის. ტურისტული ნაკადები კი ხორვატიაში სწორედ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ გაიზარდა.**

**$16-მილიარდიანი ეკონომიკური ზრდა; ხელფასების თითქმის გასამმაგება, უმუშევრობის დონის 65%-ით შემცირება; ექსპორტისა და იმპორტის გაორმაგება, ტურისტული სექტორის აღზევება - ეს იმ სიკეთეების მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია, რომელიც ხორვატიამ ბოლო ათ წელში, ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მიიღო.**

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი არ არის, **ხორვატიის აღმასვლა სწორედ ახლა იწყება, რადგან 2023 წლის იანვრიდან ქვეყანა ევროზე გადავიდა და შენგენის ზონაშიც შევიდა. სავალუტო სისტემის ევროზე გადასვლა, ცხადია, მნიშვნელოვნად გაზრდის ინტეგრაციის დონეს და შეამცირებს ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო ბარიერებს.**

**ხორვატიას ახლა უკვე განვითარებული სახელმწიფოს სტატუსიც აქვს, რომელზეც ათი წლის წინ ოცნებაც კი ზედმეტი იყო. მის უსაფრთხოებაზე NATO ზრუნავს, ეკონომიკურ განვითარებაზე კი — ევროკავშირი. ეს არის ზუსტად ის, რისი მოცემაც დასავლეთს შეუძლია და რისთვისაც ბრძოლა ნამდვილად ღირს.**

# ევროპა აქციებმა მოიცვა



## ჰააგა

ჰააგაში პოლიციამ წყლის ჭავლი გამოიყენა ეკოაქტივისტების წინააღმდეგ, რომლებსაც ავტომაგისტრალი ჰქონდათ დაკავებული. გარემოს დამცველი აქტივისტები საგადასახადო წესებს აპროტესტებენ, რომლებიც მათი მტკიცებით, წიაღისეული საწვავის გამოყენებას ახალისებს.

კერძოდ, ისინი ეწინააღმდეგებიან საგადასახადო შეღავათებს ნავთობგადამმუშავებელი და ქვანახშირის საწარმოებისთვის. ეკოაქტივისტების დემონსტრაციის პარალელურად, ჰააგაში მშვიდობიანი საპროტესტო აქცია ათასობით ფერმერმა გამართა. ისინი ხელისუფლების მიერ აზოტის გამოყენების შეზღუდვის გეგმის წინააღმდეგ გამოვიდნენ. მათი თქმით, ინიციატივა მრავალ ფერმას და საკვები პროდუქტების წარმოებას დააზარალებს.

## პრაღა

ჩეხეთის დედაქალაქში ანტისამთავრობო დემონსტრაციაში ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საპროტესტო აქციის მონაწილეები მაღალი ინფლაციის წინააღმდეგ გამოდიან და უკრაინის მიმართ სამხედრო მხარდაჭერის შეწყვეტას ითხოვენ. ჩეხეთი უკვე ერთი წელია რეკორდულ ინფლაციას ებრძვის, რაც გამოწვეულია უკრაინაში ომის შედეგად ენერგორესურსებზე გაზრდილი ფასებით. თებერვალში ქვეყანაში წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 16,7 პროცენტს მიაღწია.

დემონსტრაცია სახელწოდებით „ჩეხეთი სიღარიბის წინააღმდეგ“ ახალი პოლიტიკური პარტიის PQO (კანონის დაცვის ექსპერტიზა) მიერ იყო ორგანიზებული, რომელმაც ხელისუფლებას მოუწოდა, უპირველეს ყოვლისა, ჩეხეთის მოქალაქეების ინტერესებზე იზრუნოს. საპროტესტო აქციის მონაწილეები ასევე ნატო-ს აკრიტიკებენ.

## პარიზი

საფრანგეთის ქალაქებში საპენსიო რეფორმის მოწინააღმდეგეთა საპროტესტო გამოსვლები გაიმართა. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, დემონსტრაციებში 368 ათასამდე მოქალაქე მონაწილეობდა.

პოლიციამ მომიტინგეთა დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა მას შემდეგ, რაც დემონსტრანტებმა სამართალდამცველებს ფოიერვერკები და სხვა საგნები ესროლეს, დაწვეს ნაგვის ურნები და გზებზე ბარიკადების აღმართვა სცადეს. დაკავებულია 12 ადამიანი.

საფრანგეთში საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები იანვრიდან იმართება. საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის ინიციატივა საპენსიო ასაკის 62-დან 64 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს.

შაბათს გვიან ღამით სენატმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა. ახლა ინიციატივა პარლამენტის ქვედა და ზედა პალატების ერთობლივმა კომიტეტმა უნდა განიხილოს და ტექსტის შეთანხმების შემთხვევაში, რეფორმასთან დაკავშირებით საბოლოო კენჭისყრა ორივე პალატაში მომავალ კვირას არის მოსალოდნელი. თუმცა ეროვნულ ასამბლეაში მაკრონის პარტიას ხმათა უმრავლესობის მოსაპოვებლად მოკავშირეები სჭირდება.

## ისრაელი

ასობით ათასი დემონსტრანტი გამოვიდა ისრაელის ქალაქებში მთავრობის მიერ ინიცირებული სასამართლო რეფორმის წინააღმდეგ. დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების წინააღმდეგ დემონსტრაციები ქვეყანაში უკვე 10 კვირაა, მიმდინარეობს.

ორგანიზატორების ინფორმაციით, აქციაში, ჯამში, ნახევარ მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა. რეკორდული რაოდენობის დემონსტრანტი გამოვიდა ქალაქ ჰაიფას ქუჩებში. სხვადასხვა შეფასებით, 200 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა საპროტესტო აქციაში თელ-ავივში.

პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს მოსამართლეების შერჩევის პროცესში ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდას და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უფლებამოსილების შემცირებას, გააუქმოს მთავრობისა და ქნესეთის გადაწყვეტილებები. ცვლილებების მოწინააღმდეგეების მტკიცებით, რეფორმა ისრაელის დემოკრატიას ძირს უთხრის. კანონპროექტი ქნესეთს პირველი მოსმენით აქვს დამტკიცებული.

## გერმანია

გერმანიის რამდენიმე აეროპორტში მოსალოდნელი გაფიცვების გამო, 13 მარტს საჰაერო მგზავრები შეფერხებებისა და რეისების გაუქმებისთვის უნდა მოემზადონ, — ამის შესახებ გერმანიის აეროპორტების გაერთიანების განცხადებაშია აღნიშნული. მსგავსი განცხადებები ბერლინის, ჰამბურგის, ჰანოვერისა და ბრემენის აეროპორტებმა გაავრცელეს. გაფიცვების გამო, დაახლოებით 45 000 მგზავრი დაზარალდება. ამ დროისთვის 351 რეისია გაუქმებული.

გაფიცვები გერმანულმა პროფკავშირმა ვერდიმ დააორგანიზა. პროფკავშირი აეროპორტების პერსონალისთვის ხელფასების 10.5%-ით გაზრდას ითხოვს.



# სიკეთე, სიმართლე, სიყვარული

## ჩვენი დროის ადამიანები, 2022

### ავთანდილ რეხვიაშვილი

**70 წლის, მხატვარი, ინჟინერი**



**ავთანდილ რეხვიაშვილი სოფელ ჭიორაში (რაჭა) დაიბადა. დაამთავრა გლდანის სპორტული სკოლა, თბილისის სამხატვრო სასწავლებელი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.**

განათლების სამივე საფეხურმა მას წარმატება მოუტანა. ჯერ ერთი – ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატი და საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გახდა; მეორე – საინჟინრო ცოდნა-გამოცდილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის მართვის ცენტრის მუშაობასა და აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამხედრო კათედრისა და სამოქალაქო ციკლის მაიორმასწავლებლის მოვალეობის შესრულებაში ეხმარებოდა.

ერთიცა და მეორეც, ცხადია, მისი ბიოგრაფიის დაუვიწყარი ეპიზოდებია, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის და ბევრი მისი გულშემატკივრისათვის საინტერესოა მესამე დარგი – ფერწერა, რომელიც მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელს უკავშირდება. ჩვენმა გმირმა 65 წლის ასაკში ახალი გატაცებით დაიწყო ხატვა და ისე ნაყოფიერად იღვაწა, რომ 5 წელიწადში 5 პერსონალური გამოფენა გამართა. მხატვრობაში მისი წარმატების დასტურია საქართველოს მხატვართა კავშირის წევრობა, საპატიო სიგელით დაჯილდოება და ხალხური შემოქმედების ფესტივალის ლაურეატის წოდება.

მთავარი, რამაც ხელოვანთა აღტაცება გამოიწვია, გახლავთ საქართველოს მშვენების – ალავერდის ტაძრის, უდიდესი საეკლესიო ნაგებობის კედელზე გამოსახული, ქართული ჭიდაობის ამსახველი ფრესკა, რომელიც ჩვენმა მორკინალმა და მხატვარმა დიდი სიყვარულითა და რუდუნებით შეასრულა.

აღნიშნული ფრესკის შესახებ გამოჩენილი ეთნოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ – კორესპონდენტი ალექსი რობაქიძე (1907-1990) წერდა: „რთული სიუჟეტის შემცველი მხატვრობა XI საუკუნით არის დათარიღებული და, ამდენად, იგი წარმოადგენს იშვიათ და მყარ წყაროს, რომლის მეშვეობით ორი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება. ჯერ ერთი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქამდე არ მოიპოვება ცოტად თუ ბევრად საიმედო წყარო, რომელიც XI საუკუნის საქართველოში ქართული ჭიდაობას არსებობას ადასტურებს...“

დავით მორგოშიას, ცნობილ მკვლევარსა და მორკინალს, თავის არაერთ ნაშრომში უწერია, რომ ალავერდის წმინდა ტაძრის ფრესკა სამშობლოს დასაცავად თავგასაწირად მზადყოფნის სიმბოლოა.

ასე რომ, ალავერდის ტაძრის ბიბლიური მრავალფიგურიანი ფრესკა-კომპოზიციის ფრაგმენტი ქართული ჭიდაობა-ორთაბრძოლის სცენას თამამად შეიძლება ეწოდოს ჩვენი დროის გამოჩენილ მოჭიდავეთა – მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონთა მადიდებელ სიმბოლოდ და მსოფლიო მასშტაბით წარმოჩინდეს, ვინაიდან სხვა მსგავსი ქმნილება, საერო-სასპორტო თემატიკის ამსახველი სურათი ქართულ სატაძრო მხატვრობის ისტორიაში არ გვეგულება და ვეჭვობთ, რომ მას მსოფლიოში ანალოგი მოეძებნებოდეს.

### მზაღო ლობჟანიძე

**82 წლის, ბიოლოგი-ენტომოლოგი**



**მზაღო ლობჟანიძის, ლაგოდეხში დაბადებული სახელოვანი ქალბატონის მიღწევები სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროს განეკუთვნება. იგი აგრარულ უნივერსიტეტში წარმატებით მუშაობს უკვე სამოცი წელიწადია, გამოქვეყნებული აქვს 350 სამეცნიერო ნაშრომი, 15 სახელმძღვანელო, მათ შორის 10 ელექტრონული. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 26 სამაგისტრო და 5 სადოქტორო დისერტაცია. ორმა მაგისტრანტმა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი. ამჟამად მისი ხელმძღვანელობით მუშაობს სამი მაგისტრანტი და ორი დოქტორანტი.**

ჩვენი გმირი სწავლული აგრონომი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. კითხულობს ლექციებს და უძღვება პრაქტიკულ ლაბორატორიულ მეცადინეობებს ათ საგანში.

ასევე გახლავთ მრავალი ასოციაციის, კომისიისა თუ საბჭოს წევრი, საქართველოსა და უცხოეთში გამართული მრავალი კონფერენციისა თუ კონგრესის მონაწილე, საერთაშორისო ენტომოლოგიური საზოგადოების წევრი.

ამ ბოლო წლებში იუბილარმა თავის კოლეგებთან ერთად ორი კარგი ნაშრომი შესძინა საქართველოს, ეს არის: **„მცენარეთა დაცვა“** და **„ფიტოპლაზმოზი და მერქნიან მცენარეთა გამძლეობა“**. მეცნიერებმა და სპეციალისტებმა აღნიშნეს ორივეს დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა.

ქალბატონმა მზაღომ დიდი მუშაობა გასწია აზიური ფაროსანას ბიოლოგიის შესწავლის, მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავების, საქართველოს თხილნარებისა და სხვა მცენარეთა დაუნდობელი მტრის მავნეობის დაძლევის საქმეში. დასასრულ, მისი ინტერესის საგანი იყო და არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღება, რაც მისი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25

### ციალა მაისურაძე-ვახანია

**93 წლის, ფილოლოგი, რუსთველოლოგი**



**ციალა მაისურაძე-ვახანიას სკოლასა და უნივერსიტეტში წარმატებები დაებედა. საუნივერსიტეტო თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მისი მოხსენებები ინგლისურ ენას, სწავლების მეთოდიკას, ძველ ქართულ ლიტერატურასა და შექსპირის შემოქმედებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს ეხებოდა.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი გახლდათ უფროსი მასწავლებელი, მეთოდჯგუფის ხელმძღვანელი, მექანიკა-მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტების წამყვანი მასწავლებელი, უცხოური კაბინეტის ხელმძღვანელი, ასპირანტურაში მისაღები და დამამთავრებელი გამოცდების კომისიის თავმჯდომარე. ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული აქვს 5 წიგნი, ინგლისური ენის სახელმძღვანელო, მათემატიკა და მათემატიკოსები, აკადემიკოს ნიკო ვახანიას დაბადების 85 და 90 წლების საიუბილეო კრებულები.

მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა მესხეთის მხარის შვილის უნიკალური ნაშრომი, რომელსაც ეწოდება **„დავჯე, რუსთველმან გავლექსე“**. წიგნში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მოცემულია „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკრებილი აფორიზმები და მოკლე ნაწყვეტები.

ინგლისური თარგმანი სამი ავტორით, ხოლო რუსული ოთხითაა წარმოდგენილი, მათ შორისაა შალვა ნუცუბიძის თარგმანის ორი ვერსია. თარგმანების შედარებით, პარალელური წაკითხვით მკითხველი ეცნობა მთარგმნელის მიერ გააზრებულ და უცხოურ ენაზე გადატანილ „ვეფხისტყაოსნის“ პასაჟებს. წიგნი ავტორის მიერ არის გაფორმებული და ილუსტრაციებით დამშვენებული.

დავით შემოქმედელი – მწერალი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, ამბობს, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს, ქალბატონმა ციალამ 89 წლის ასაკში ერთ წიგნად გამოსცა პირველხარისხოვანი მთარგმნელების მიერ ინგლისურ და რუსულ ენებზე თარგმნილი რუსთაველის უკვდავი პოემა, რაც შენაძენია როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარებისათვის, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ქალბატონი ციალა ამჟამად 93 წლისაა და ჩვეული მხნეობით აგრძელებს ღვწას.

### ლია სერგეევა

**39 წლის, ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი**

**ლია სერგეევას – მოსკოველი მეცნიერის შვილს, პატარა სერაფიმეს საშინელი ავადმყოფობა – პოლიომიელიტი დაუდგინდა. გერმანია-შვეიცარია-ისრაელის სახელგანთქმულ კლინიკებში მკურნალობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მშობლები ბედს მაინც არ შეურიგდნენ, ეძიეს და ინტერნეტსივრცეში იპოვნეს ერთი დამაიმედებელი ინფორმაცია, რომ ბავშვებში გამოვლენილი დამბლის, რაქიტის, სამშობიარო ტრავმების, საყრდენ-მამოძრავებელი და ნერვული დაავადებების დროს საუკეთესო შედეგს იძლევა შავი მაგნიტური ქვიშა, რომელიც საქართველოს შავი ზღვისპირეთის კურორტ ურეკშია.**



ასე იპოვეს პროფესორი შუქრი თავართქილაძე, გამოჩენილი კურორტოლოგი, ადრე კოსმოსის დარგის წარმატებული მკვლევარი, ფიზიკოსი, მეცნიერების დოქტორი, რომელიც კურორტ ურეკის სამკურნალო ფაქტორების შესწავლისა და გამოყენების საბჭოს უძღვება უკვე 30 წელიწადია.

ამას მოჰყვა ორი წლის სერაფიმეს ურეკში ჩამოყვანა, მაგნიტური ქვიშით მკურნალობა, ბავშვის ორგანიზმის საოცარი ცვლილება, ენის ამოდგმა-ამეტყველება, სასიცოცხლო ორგანოთა ამოძრავება, მშობლების გახარება და... მეოთხე შვილის დაბადება.

მადლიერმა ოჯახმა ცხოვრების მიზნად დაისახა ურეკში ქველმოქმედება. მათი თაოსნობით, ადგილობრივი ხელისუფლების, ევროპისა და ამერიკის დონორი ორგანიზაციების გაერთიანებული ძალისხმევით აშენდა და ამოქმედდა ახლებური სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრი. ახლებური ნიშნავს, თუ აქამდე კურორტი ბავშვებს მხოლოდ ზაფხულში მკურნალობდა, ამიერიდან უახლესი და უძვირფასესი აპარატურით აღჭურვილი, ნაცადი მედპერსონალით დაკომპლექტებული ახალდაარსებული ცენტრი მოქმედებს მთელი წლის განმავლობაში. რაც მთავარია, ეს ყველაფერი, ანუ 6 წლამდე ბავშვების მკურნალობა, უფასოა!...

და კიდევ, ერთი მნიშვნელოვანი ამბავი – ქველმოქმედი ქალბატონი ლიას თაოსნობით ურეკში შენდება ახლა უკვე 8 წლის სერაფიმეს, გამოჯანმრთელებული ბიჭუნას დიდი სეხნიის, ბავშვთა მფარველი წმ. სერაფიმე საროველის სახელობის ეკლესია.

### ნანა ტაბიძე

**60 წლის, ექიმი, მენეჯერი**



**ნანა ტაბიძე, მეცნიერი მეტალურგისა და პედაგოგის შვილი, სამკურნალო ფაკულტეტ და ორდინატურადამთავრებული, საქართველოში განვითარებული რთული მოვლენების გამო, 90-იან წლებში აღმოჩნდა მოსკოვში. ცნობილ ამერიკულ-ფარმაცევტულ კომპანიაში 18 წელი იღვაწა. საუკეთესო მენეჯერისა და ორგანიზატორის ტიტული დაიმსახურა.**

2012 წლიდან იგი საქართველოშია, კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლასა და ტურიზმის სკოლაში პროფესორ-ასისტენტად მუშაობდა. დააარსა ტურისტული კომპანია. ამ დარგებში ბევრი ახალი მეთოდი დანერგა, ახალი შესაძლებლობები იპოვა და წარმოაჩინა.

ჩვენი გმირი ბოლო წლებში ძირითადად ორი პროექტითაა გატაცებული. პირველია „საქართველოს ჰანგები“, რომელიც ერთ გამორჩეულ ადგილას ქართული მუსიკის სხვადასხვა ჟანრის წარმომადგენელთა შეკრებასა და ტურისტებისათვის საინტერესო მინიკონცერტების გამართვას უძღვება. მეორე მშობლიურ ფოთში დაფუძნებული „კეფალის ფესტივალია“ – სახელმწიფოსა და საოჯახო მიღწევა-შესაძლებლობათა გამოვლენა-წარმოჩენის წარმატებული პროექტი.

„კეფალის ფესტივალი“ ფოთის, ანუ ანტიკური ფაზისის ძალიან მნიშვნელოვან და საამაყო ოქროს ტბის სივრცეში იმართება. ფესტივალზე ჩამოდიან საქართველოს ყველა კუთხის შვილები, აგრეთვე უცხოელი სტუმრები. მთავარი მაინც მასპინძლების, ფოთის საზოგადოებისა და მეზობელი ქალაქების წარმომადგენელთა მონაწილეობაა.

ამ დღეს ცოცხლდება კოლხური ფოლკლორი, არის სიმღერა, ცეკვა, ხალხური სპორტის, მათ შორის საწყლოსნო სახეობათა დემონსტრირება, ფესტივალის გამორჩეული ნიშანია კეფალის – ოდითგანვე სახელგანთქმული თევზის სახეობის სამოყვარულო და სპორტული ჭერის და შემდეგ მისი დაგემოვნების რიტუალი-ტრადიცია.

ფოთი, მოგეხსენებათ, ისტორიული კოლხეთის, ანუ აწინდელი საქართველოს საზღვაო კარიბჭეა, ამასთანავე მალთაყვასთან ერთად გულ-სისხლძარღვთა და ძვალსახსართა სამკურნალო უნიკალური კურორტია, სადაც ერთი ანტიკური წყაროს მიხედვით, თავს იყრიდა სამას ენაზე მოლაპარაკე ხალხი.

ახლა – მსოფლიო გლობალიზაციის ვითარებაში – ეს რიცხვი ბევრს ეცოტავება, ვინაიდან დღეს მსოფლიოში 7.000-მდე ენაა აღრიცხული. ასე რომ ფოთის „კეფალის ფესტივალი“ ხვალ-ზეგ უთუოდ თანამედროვე მსოფლიოს სულ ცოტა 1000 ენაზე მოლაპარაკე სტუმრების თავშეყრა-თანამშრომლობის დაუვიწყარი ადგილი გახდება.

**გვანჯი მანია,**

**ჟურნალისტი, „გიორგის“ კავშირის დამფუძნებელი, თავმჯდომარე და ფაზისის აკადემიის გამგეობის წევრი.**

(გაგრძელება იქნება)

ოქტაგონზე

# მიზანი – ჩემპიონობა!

**ქართველმა მებრძოლმა მერაბ დვალიშვილმა გუშინ რუსი პიოტრ იანის წინააღმდეგ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მას 5-რაუნდიან დაპირისპირებაში სრული დომინაცია ჰქონდა. მერაბმა მეტოქის პარტერში გადაყვანა 49-ჯერ სცადა, რომელთაგანაც 11 წარმატებული გამოდგა – ეს კი რეკორდი იყო. აქამდე საუკეთესო შედეგი ორგანიზაციის მძიმე წონის ჩემპიონ კაინ ველასკეს ეკუთვნოდა.**

დვალიშვილმა ბრძოლის შემდეგ არაერთ თემაზე გააკეთა კომენტარი და ისიც აღნიშნა, რომ საჩემპიონო ბრძოლაში მონაწილეობა სურს: **„ამაყი ვარ. მადლობა ქართველებს, რომ აქ ჩემს საგულშემატკივროდ მოვიდნენ, ვინც სახლებიდან მიყურებდა, ყველას ვინც მგულშემატკივრობდა. ქართველები მხოლოდ 3 მილიონი ვართ, მაგრამ ძალიან ძლიერები. ბედნიერი ვარ, რომ აქ ჩემს ქვეყანას წარმოვადგენ და ერთ-ერთი მათგანი ვარ. ჩხუბამდეც ვთქვი, რომ ეს ბრძოლა პირადად ჩემთვის განსაკუთრებული იყო და მას დამატებითი მოტივაციით ვუდგებოდი. ჩემს გუნდთან ერთად შევძელი, რომ ეს გამარჯვება მომეპოვებინა და მეჩვენებინა მსოფლიოსთვის, რომ იანი ნულია!**



**ჩემი საბრძოლო სტილი ყველას ანგრევს, ჩემს გუნდსაც ყველა იცნობს. რთული რაუნდები მხოლოდ ჩემს მეგობარ და ნამდვილ ჩემპიონ ალჯამეინ სტერლინგთან მაქვს. ახლა კი ყველას მივმართავ, ნებისმიერთან ვიბრძოლებ, რადგან მე მშიერი ვარ და ბრძოლა მსურს. აქ გიგა ჭიკაძე იმყოფება, ის მეძახდა, რომ პიოტრისთვის ფეხებში ძლიერად დამერტყა, რამაც ძალიან კარგად იმუშავა და მადლობა.**

**ალჯა ყოველთვის კარგ დარიგებებს მაძლევს და მან მითხრა, რომ საჩემპიონო ბრძოლა მოვითხოვო. მხოლოდ ჩვენ ვიცით, ვინ არის ჩვენს შორის ჩემპიონი. ჩვენ გადავწყვეტთ, ვინ იქნება შემდეგი და რა იქნება შემდეგი გამოწვევა, ამ დღის მერე კი, რა თქმა უნდა, ჩემპიონობა მსურს.**

**ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ყველას მადლობას გიხდით, ვინც აქ ხართ. სლავა უკრაინა! თავისუფლება უკრაინას! დიდება საქართველოს! ჩვენ მხოლოდ თავისუფლება გვჭირდება. გთხოვთ შეწყვიტეთ ომი. რუსეთს ჯერ ომით ვერ ვაჩერებთ, მათი სპორტში შეჩერება მაინც შეგვიძლია. იმედი მაქვს, რომ ომი მალე მორჩება და ყველანი მშვიდობიანად ვიცხოვრებთ“**, – განაცხადა ქართველმა.

გეტყვით, რომ მერაბ დვალიშვილმა UFC-ში ზედიზედ მე-9 ბრძოლა მოიგო, კარიერაში კი დადებითი ბალანსი აქვს: 16 მოგება და 4 წაგება.

კვარადონა

# სპექტაკლი გრძელდება



**მას შემდეგ, რაც გავრცელდა ხმები, რომ შესაძლოა ტურინის იუვენტუსს ფინანსური მაქინაციებისთვის ჩამორთმეული 15 ქულა დაუბრუნონ, ერთი შეხედვით საჩემპიონო ჰანდიკაპით დაწინაურებულ ნაპოლის ცალი ფეხით თამაშის უფლება აღარ აქვს – საჭიროა დიდებულად დაწყებული საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა, საამისოდ კი საკუთარ მარადონას სტადიონზე ჩასულ მეტოქეთა გაწბილება.**

წინა ტურში ლაციოსთან წაფორხილების შემდეგ დაჭრილ მხეცთან შებმა სერია – ა-ს კალენდრით კერკეტ კაკალ ატალანტას მოუწია და მისი გატეხა ხვიჩა კვარაცხელიას შედევრით დაიწყო, რომელმაც ერთბაშად სამი მცველი გააბითურა და ბურთი ბერგამოელთა კარის ცხრილში გაახვია, სტუმართა რზევა კი კუთხურის შემდეგ ზუსტი თაური დარტყმით რაჰმანმა დაასრულა – 2:0.

ნაპოლი 26 ტურის შემდეგ 68(!) ქულით უკვე ელიცლიცება სკუდეტოს, 19 მარტს კი ტორინოს ეწვევა.

Corriere Dello Sport-ის ჟურნალისტმა **ანტონიო ჯორდანომ** სოციალურ ქსელში ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ დაწერა. მან ქართველი ფეხბურთელით აღფრთოვანება ვერ დამალა.

**„ფე-ნო-მე-ნი! დანარჩენს მნიშვნელობა არ აქვს. ეს არის ცხელი ჰაერი, ეს არის კვარა, ეს არის ფეხბურთი, რომელიც დიდ სიხარულს ავრცელებს. კვარა წყალია, ჰაერია, სინათლეა, მზეა, ახალი ღმერთია, რომელიც ხალხს ფეხბურთს აყვარებს, მნიშვნელობა არ აქვს ვინ ვისი გულშემატკივარია. ის არის 22 წლის ბიჭი, რომელიც გადის მოედნიდან და იღებს პასუხისმგებლობას, რომ საქართველოს მომავალზე ისაუბროს სოციალური ქსელის გამოყენებით. ის არის ოცნების კაცი, კარგი ბიჭი, რომელმაც ნეაპოლი მოაჯადოვა და შოკისმომგვრელ ფეხბურთს თამაშობს. ის კვარაა, ფე-ნო-მე-ნი!“**, – დაწერა ჯორდანომ.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩა კვარაცხელიამ მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე ჩატარებულ 28 შეხვედრაში 13 გოლი გაიტანა, 13 საგოლე პასი შეასრულა და 3 პენალტი მოიპოვა.

ლეგიონერი

# ლიდერის ჯილდო

**ესპანეთის ლიგა ენდესას 22-ე ტურში გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფემ“ „ხოვენტუტ ბადალონა“ მარტივად დაამარცხა, ქართველი კალათბურთელი კი შეხვედრაში შეუდარებელი იყო.**

შერმადინმა მოედანზე 24 წუთი გაატარა, რა დროშიც თავი 19 ქულით და 7 მოხსნით გამოიჩინა. გიორგიმ 7-დან 5 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო გამოიყენა. ამ მაჩვენებლებით ის ორივე გუნდში საუკეთესო იყო, მისი კარგი თამაშის დახმარებით კი „ლენოვო ტენერიფემ“ მეტოქე 85:68 დაამარცხა. მატჩის წინ გიორგი შერმადინი დააჯილდოვეს. ქართველი ლეგიონერი თებერვლის თვის საუკეთესო კალათბურთელი გახდა, თუმცა კუთვნილი ჯილდო მხოლოდ ახლაღა მიიღო:

**„ეს საოცარია. ძალიან ბედნიერი ვარ. ეს უკვე მეთერთმეტეა, თუმცა მთავარი ის არის, რომ გუნდი კარგად თამაშობს“** – განაცხადა გიორგიმ ჯილდოს მოპოვების შემდგომ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი ორივე გუნდში საუკეთესო იყო. მეტოქის მხრიდან თავი ანტე ტომიჩმა 17 ქულით გამოიჩინა, თუმცა ეს წარმატების მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

გუშინდელი გამარჯვების შემდგომ „ტენერიფეს“ 30 ქულა დაუგროვდა და ცხრილის მე-4 საფეხურზე იმყოფება. მომდევნო შეხვედრას იგი 15 მარტს, ჩემპიონთა ლიგაზე რატი ანდრონიკაშვილისა და თად მაკფადენის „მურსიას“ წინააღმდეგ გამართავს, ლიგა ენდესაში კი 18 მარტს „ობრადოიროს“ დაუპირისპირდება.



რაგბი ჩვენი თამაშია

# საქართველო: მეთხუთმეტე ტიტულის ზღურბლთან

**პირველად რაგბი ევროპის ჩემპიონატის (და მისი წინამორბედი ევროპის ერთა თასის) 23-წლიან ისტორიაში გამარჯვებულის გამოსავლენად ფინალური შეხვედრა გაიმართება.**

19 მარტს პორტუგალიის სასაზღვრო ესპანურ ქალაქ ბადახოსში ბორჯღალოსნები სწორედ ლუზიტანიელებს ერკინებიან.

თამაში თბილისის დროით 23 საათზე დაიწყება და გამარჯვების შემთხვევაში ბორჯღალოსნები მე-15-ედ შემართავენ თასს. სიმბოლურია, რომ საქართველოს ტურნირზე აქამდე ჩატარებული 118 თამაშიდან 99 აქვს მოგებული და ფინალში გამარჯვება სანიშანსვეტო, მე-100-ე იქნება.

ბორჯღალოსანთა ინდივიდუალურ მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, ჩემპიონის ტიტული ყველაზე მეტჯერ – 12-ჯერ სანდრო თოდუას აქვს მოხვეჭილი, 11-11-ჯერ ლაშა ხმალაძეს, შალვა მამუკაშვილს და დავით კაჭარავას, ხოლო 10-10-ჯერ თასი მერაბ შარიქაძემ, ლაშა მალაღურაძემ და შალვა სუთიაშვილმა შემართეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და რუმინეთის საჩემპიონო დავაში სხვა გუნდი ერთადერთხელ ჩაერია და ის სწორედ პორტუგალია იყო, რომელმაც თასი 2003-2004 წლების სეზონში მოიპოვა.

## გზა ფინალამდე

პირველად ტურნირის ისტორიაში, წელს მონაწილე გუნდების რაოდენობა 8-მდე გაიზარდა. ისინი ორ ჯგუფად გაიყვნენ, რის შემდეგაც ორ-ორი მოწინავე თასის ნახევარფინალში გავიდა, დანარჩენები კი მე-5-მე-8 ადგილებისთვის აგრძელებენ ბრძოლას.

ბორჯღალოსნებმა ჯგუფურ ეტაპზე სამივე მეტოქე ბონუსით და დიდი უპირატესობით დაამარცხეს – გერმანია – 75:12, ნიდერლანდები – 40:8 და ესპანეთი – 41:3, ხოლო ნახევარფინალში რუმინეთს 31:7 სძლიეს.

ჯგუფური ეტაპის სამივე თამაში ბონუსით მოიგო პორტუგალიამაც – ბელგიასთან – 54:17, პოლონეთთან – 65:3 და რუმინეთთან – 38:20, ხოლო 4 მარტს ნახევარფინალში მან ესპანეთი მიიღო და 27:10 დაამარცხა.

ბორჯღალოსანთა გაფართოებული შემადგენლობა:

ბურჯები: **გურამ გოგიჩაშვილი (რასინგ 92, 36 კეპი, 10 ქულა), ნიკა აბულაძე (შავი ლომი, 9 კეპი), სერგო აბრამიშვილი (სტად ფრანსე, 3 კეპი); ბექა გიგაშვილი (ტულონი, 33 კეპი, 15 ქულა), გურამ პაპიძე (პო, 8 კეპი, 5 ქულა), ალექსანდრე ქუნთელიია (ლა როშელი, 2 კეპი, 5 ქულა);**

კვაჭები: **შალვა მამუკაშვილი (შავი ლომი, 96 კეპი, 55 ქულა), გიორგი ჭყოიძე (შავი ლომი, 29 კეპი, 30 ქულა), თენგიზ ზამთარაძე (შავი ლომი, 2 კეპი);**

მეორე ხაზი: **კოტე მიქაუტაძე (ბეიონი, 21 კეპი, 25 ქულა), მიხეილ გაჩეჩილაძე (შავი ლომი, 19 კეპი, 20 ქულა), ბექა გორგაძე (პო, 39 კეპი, 55 ქულა);**

ღერძი: **ვასილ ლობჟანიძე (ბრივი, 74 კეპი, 73 ქულა), გელა აფრასიძე (მონპელიე, 44 კეპი, 27 ქულა), თენგიზ პერანიძე (შავი ლომი, 1 კეპი); თედო აბჟანდაძე (მონტობანი, 41 კეპი, 329 ქულა), ლუკა მატკავა (შავი ლომი, 6 კეპი, 36 ქულა);**

ცენტრები: **მერაბ შარიქაძე (შავი ლომი,**



მეორე ხაზი: **კოტე მიქაუტაძე (ბეიონი, 81 კეპი, 15 ქულა), ნოდარ ჭეიშვილი (შავი ლომი, 45 კეპი, 5 ქულა), ლადო ჩაჩანიძე (ნევერი, 9 კეპი), მიხეილ ბაბუნაშვილი (შავი ლომი, 2 კეპი);**

მესამე ხაზი: **ოთარ გიორგაძე (მონტობანი, 39 კეპი, 50 ქულა), ბექა საღინაძე (ლიონი, 35 კეპი, 15 ქულა), გიორგი ცუცქირიძე (სტად ფრანსე, 28 კეპი, 30 ქულა), თორნიკე ჯალაღონია (ბიარიცი, 92 კეპი, 80 ქულა, კაპ.), დემე თაფლაძე (შავი ლომი, 24 კეპი, 5 ქულა), თორნიკე კახოიძე (შავი ლომი, 2 კეპი);**

ფრთები: **სანდრო თოდუა (შავი ლომი, 106 კეპი, 90 ქულა), აკა ტაბუცაძე (შავი ლომი, 27 კეპი, 125 ქულა), ოთარ ლაშხი (შავი ლომი, 1 კეპი, 5 ქულა);**

ფულბეკები: **ლაშა ხმალაძე (შავი ლომი, 95 კეპი, 53 ქულა), დავით ნინიაშვილი (ლიონი, 20 კეპი, 43 ქულა).**

# სამეგრელოს სირცხვილი ხარ, შენ!

(მეშვიდე გვერდიდან)

ყველაზე ამაზრზენი ის არის, რომ პირადი დავის დროს რა შუაში იყო სამეგრელო?! მაღალი ტრიბუნიდან, თუნდაც საჯარო გამოსვლისას არც გამიგია ვინმეს ეკადრებინოს მეორისადმი „შენ სამეგრელოს სირცხვილი ხარო“. თუ რაიმე ამშვენებს მედეას კოლხეთს, თუ რაიმე განძი ჰქონია და აქვს ამ უძველეს, ზნეობითა და სიბრძნით გამორჩეულ მხარეს, ეს ქალის კდემაა. მანდილოსნის გარეგნული და სულიერი ღირსებაა. უბადლო ალექსანდრე დიუმამ ბრძანა „მეგრელი ქალები, მეტადრე ქერა-შავთვალა და შავგვრემანი-ცისფერთვალა ქალები, ულამაზესნი და უჭკვიანესნი არიანო“. დიდმა კალმოსანმა არა მხოლოდ გარეგნული იერსახე იგულისხმა, არამედ, შინაგანი სასოება და კდემა სამეგრელოს ქალბატონებისა.



დღევანდელ ქალებს ვერ მოვთხოვთ კოლხი მედეას სიბრძნესა და ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის დიპლომატიას, ნონა გაფრინდაშვილის ნიჭიერებას... და მაინც, ცოტნე დადიანის და ჟიული შარტავას შთამომავალ მამაკაცებს გენდერული თანასწორობა, და კიდევ ბევრი სხვა რამ გვავალდებულებს, ჯენტლმენურად მოვიქცეთ.

აღარ მინდა, არა, ამაყი და ცივილიზაციის სათავეებთან ფესვგადგმული სამეგრელოს ნებისმიერი სქესის წარმომადგენლის მიმართ ითქვას – „სამეგრელოს სირცხვილი ხარ, შენ!“ და მაინც თუ ვინმეს მიმართ შური გჭირთ, თავს ვერ თოკავთ და ემოციას ვერ ერევით, სამეგრელოს ნუ შეეხებით.

სამეგრელო ღირსეულ ქართველთა ოდაზადეა. წმინდა მამების სავანეა. როცა სამეგრელოს აუგ კონტექსტში ახსენებთ, ძვირფასი წინაპრების სულებს უხეშად ეხებით. ეს კი მიუღებელია!..

**ბორის დავითაია,**

**სენაკის საპატიო მოქალაქე აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის პრემიების ლაურეატი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ყოფილი ბიბლიოთეკარი და საქმეთა მმართველი, უკეთილშობილესი ადამიანი, კოლეგა და მეგობარი, შესანიშნავი ოჯახის დედა და ბებია, მაისურაძეების დიდი გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი

**თამარ მაისურაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

სანთელი

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი

**გურანდა ციციშვილი-ქავთარაძისა**

და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

# მამასახლისისა და ნანავას საქმე

## სტრასბურგის სასამართლომ აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა

**სტრასბურგის სასამართლომ მამასახლისის საქმის ფარგლებში, აფხაზეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა.**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მამასახლისი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება გამოაქვეყნა.

მოსამართლეთა პალატამ ერთხმად დაადგინა, რომ ორი მოსარჩელის მიმართ რუსეთმა დაარღვია ადამიანის უფლებათა კონვენციის სამი მუხლი. კერძოდ, მესამე მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მეხუთე მუხლი პირველი პუნქტი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) და მეექვსე მუხლის პირველი და მესამე პუნქტები (სამართლიანი სასამართლოს უფლება). საქართველოს მხრიდან კი კონვენციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საქმე ეხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე პერიოდს. კერძოდ, ლევან მამასახლისისა და გრიგოლ ნანავას დაკავებებს 2001 და 2003 წლებში, შესაბამისად, ასევე მათ მიმართ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან არასათანადო მოპყრობას, გასამართლებასა და დაკავებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რუსეთმა უნდა გადაუხადოს მამასახლისსა და ნანავას 35-35 ათასი ევრო მორალური ზარალის ანაზღაურების სახით, ასევე, ჯამში, 23 300 ევრო ხარჯების ასანაზღაურებლად.

სტრასბურგის სასამართლოს დასკვნით, აფხაზეთის მიმართ მუდმივი და არსებითი პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერითა და გადამწყვეტი სამხედრო ჩარევით, რუსეთი ეფექტურ კონტროლს და გადამწყვეტ გავლენას ახორციელებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჰქონდა იურისდიქცია საჩივრის საკითხებზე.

სასამართლომ მამასახლისისა და ნანავას დაკავება და დაპატიმრება უკანონოდ ცნო. სასამართლოს დასკვნაში წერია, რომ მამასახლისისადმი ხორციელდებოდა არასათანადო მოპყრობა, იმყოფებოდა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ პირობებში. არცერთ მოსარჩელეს არ მიუღია ადეკვატური სამედიცინო დახმარება და არ უსარგებლია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სამართლიანი სასამართლოს უფლებით. ასევე მათ ვერ მიიღეს ადვოკატის დახმარება.

კონვენციის დარღვევებზე პასუხისმგებლობის განაწილების კუთხით, სტრასბურგის სასამართლომ დარღვევებზე პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა და არ დაუდგენია რამე დარღვევა საქართველოს მხრიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობამ ყველაფერი გააკეთა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მამასახლისისა და ნანავას უფლებების უზრუნველსაყოფად, თუმცა წააწყდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან თანამშრომლობაზე მუდმივ უარს და რუსეთის ხელისუფლების უმოქმედობას.





# საცხოვრებელი სახლები სოციალურად დაუცველ ქობულეთელებს

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ქობულეთის მერთან ლევან ზოიძესთან ერთად სოციალურად დაუცველ ოჯახებს ესტუმრა და 4 ოჯახს ინდივიდუალური ტიპის სოციალური სახლები გადასცა.**

აჭარის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, 2023 წელს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი ქობულეთში დამატებით 12 ოჯახისთვის აშენდება, რისთვისაც 800 000 ლარია გათვალისწინებული. ასევე, ქობულეთში დაგეგმილია 2 მრავალბინიანი სოციალური სახლის მშენებლობა. საცხოვრებელი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 120 ეკომიგრანტი ოჯახის დაკმაყოფილებას.

# დასავლეთ საქართველოში აზიურ ფაროსანას ებრძვიან

**სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრი მავნებლის მონიტორინგს იწყებს. აზიური ფაროსანას იდენტიფიკაციის მიზნით, სააგენტოს სპეციალისტები მონიტორინგს საკარმიდამო ნაკვეთებსა და მიტოვებულ შენობებში ახორციელებენ. პარალელურად, საკოორდინაციო მართვის ცენტრი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურად განაგრძობს საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან.**

ღონისძიებების პირველი ეტაპის საფუძველზე, იმ ტერიტორიებზე, სადაც მავნებლის დიდი კონცენტრაცია დადასტურდება, დამონტაჟდება „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურები, რაც შეამცირებს მავნებლის რაოდენობას და ხელს შეუწყობს გავრცელების ზუსტი არეალის დადგენას.

# ათეულმილიონობით ლარი კახეთის სამელიორაციო პროექტისთვის

**მიმდინარე და დაგეგმილი სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები და საექსპლუატაციო ღონისძიებები განიხილეს საქართველოს მელიორაციის გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ ნასარიძემ და კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან შეხვედრაზე.**

თენგიზ ნასარიძემ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა იმ პროექტებზე, რომლის განხორციელებაც მუნიციპალიტეტებში უახლოეს პერიოდში დაიწყება. პროექტების ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხების წყალგამანაწილებლებს და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს. სამუშაოები იგეგმება ახმეტის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხის, გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში.

საქართველოს მელიორაციამ, 2012 წლიდან დღემდე, კახეთის რეგიონში, 59,9 მლნ ლარის ღირებულების 96 სარეაბილიტაციო პროექტი განახორციელა. შედეგად, რეგულარულად, 18 000 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ირწყვება, ხოლო წყლის მიწოდება 13 300 ჰექტარზეა გაუმჯობესებული.



# ხუთი ქვეყანა, რომელსაც აეროპორტი არ აქვს



**მსოფლიოს 5 პატარა ქვეყანაში აეროპორტები არ არის და ამ ქვეყნებში ჩასასვლელად ტურისტები ტრანსპორტის სხვა სახეობას იყენებენ.**

**ვატიკანი:** ყველაზე პატარა ქვეყანა მსოფლიოში მხოლოდ 800 მოსახლით. აქ თვითმფრინავის დასაფრენად ბევრი ადგილი არ არის; არ არის მდინარე ან ზღვა ალტერნატიული ტრანსპორტისთვის. ის ასევე ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, რომლის შემოვლა ფეხითაა შესაძლებელი. აქ შეგიძლიათ მოხვდეთ იტალიაში მდებარე უახლოესი აეროპორტებიდან, როგორიცაა ჩამპინო და ფიუმიჩინო. ისინი ვატიკანიდან მატარებლით 30 წუთზე ნაკლებ სავალზეა.

**მონაკო:** მეორე ყველაზე პატარა ქვეყანა მსოფლიოში ვატიკანის შემდეგ. ის სამი მხრიდან გარშემორტყმულია საფრანგეთით და არ აქვს აეროპორტი. დათვალიერების მსურველებს იქ მოხვედრა ტაქსით, ან ნავით შეუძლიათ – ფრანგულ ნიცაში დაჯდომის შემდეგ.

**სან მარინო:** მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო. სან-მარინო მთლიანად გარშემორტყმულია იტალიით, ზღვაზე წვდომის გარეშე. იმის გამო, რომ ქვეყანა ძალიან პატარაა, მას აეროპორტი არ აქვს. საბედნიეროდ, მთელი სან-მარინო ბრტყელია და აქვს გზების მკვრივი ქსელი, რომელიც ხალხს სან-მარინოდან გამოჰყავს და იტალიაში ყველა მიმართულებით შესვლის საშუალებას აძლევს. ერთ-ერთი უახლოესი აეროპორტი რიმინიშია. მიუხედავად იმისა, რომ ის პატარაა, იქვე არის რამდენიმე სხვა აეროპორტი – ფლორენციის, ბოლონიის, ვენეციის და პიზის, რომლებსაც ასევე ხშირად იყენებენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ტურისტები, რომლებიც სტუმრობენ ამ პატარა ქვეყანას.

**ლიხტენშტეინი:** პატარა სახელმწიფო, მისი მთელი პერიმეტრი ძლივს აღწევს 75 კმ-ს. იმისთვის, რომ მეზობელ ქვეყნებთან შესაძლო დიპლომატიურ ბრძოლებში არ ჩართულიყო, ლიხტენშტეინი დარჩა აეროპორტის გარეშე, ადგილობრივები კი ციურიხის აეროპორტის მომსახურებით სარგებლობენ. ის დაახლოებით 120 კილომეტრშია და მოხვედრა აეროპორტში მანქანით ან ავტობუსით შეიძლება.

**ანდორა:** ანდორის სამთავრო არც ისე პატარაა, როგორც სხვა ქვეყნები და აქვს შედარებით დიდი ტერიტორია, სადაც ერთზე მეტი აეროპორტის აშენება შეიძლებოდა, მაგრამ არის უზარმაზარი დაბრკოლება – მთები. ეს სამთავრო, რომელიც მდებარეობს საფრანგეთსა და ესპანეთს შორის, მთლიანად არის გარშემორტყმული პირენეებით. ზოგიერთი მწვერვალის სიმაღლე თითქმის 3000 მეტრს აღწევს და ასეთ სიმაღლეებზე თვითმფრინავით ფრენა ცოტა საშიში და რთული ხდება. და რატომ რისკავთ, როცა შეგიძლიათ უსაფრთხოდ გამოიყენოთ თქვენი მეზობლების აეროპორტები – ბარსელონა, ლეიდა ან ჟირონა მხოლოდ 200 კმ-ის რადიუსშია.



# რომის პაპი: ან ორივე ქვეყანაში ჩავალ, ან – არცერთში

**რომის პაპი ფრანცისკე აცხადებს, რომ მზად არის, ჩავიდეს კიევში, თუმცა იმ პირობით, თუ მოსკოვშიც ჩავა,** – ამის შესახებ პონტიფიკოსმა არგენტინულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.

**„მსურს კიევში წასვლა, თუმცა მოსკოვში წასვლის პირობით. ან ორივე ქვეყანაში ჩავალ, ან არც ერთში“,** – განაცხადა რომის პაპმა. ამასთან, ფრანცისკეს თქმით, ამჟამად ის ვერ ჩავა მოსკოვში, თუმცა ეს შეუძლებელი არ არის. რომის პაპმა ასევე აღნიშნა, რომ ომამდე ვოლოდიმირ ზელენსკის ვატიკანში მასთან აუდიენციისთვის ჩასვლა შესთავაზა. **„თუმცა საბოლოოდ მან ვიზიტი გადადო დაბომბვის დაწყების შემდეგ და თქვა, რომ არ აუქმებს მას, არამედ გადადებს იმ მომენტამდე, ვიდრე საზღვარგარეთ მოგზაურობას შეძლებს“,** – განაცხადა რომის პაპმა.

# კიევ-პეჩორის ლავრიდან მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინელ ბერებს აძევებენ



**მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა ბერმა და მსახურმა მარტის ბოლოსთვის კიევ-პეჩორის ლავრის ყველა დაწესებულება უნდა დატოვოს,** – ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის კულტურისა და საინფორმაციო პოლიტიკის მინისტრის, ალექსანდრე ტკაჩენკოს განცხადებაში, რომელსაც უკრაინული მედია ავრცელებს.

განცხადების თანახმად, უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ კიევ-პეჩორის ლავრის უსასყიდლოდ გამოყენების შეთანხმება 2023 წლის 29 მარტიდან უქმდება. ეს გადაწყვეტილება ეფუძნება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის დასკვნებს, რომლითაც დგინდება, რომ მონასტრის მიერ დარღვეულია სახელმწიფო ქონების გამოყენების შეთანხმების პირობები. მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესია ლავრის შენობებს 2013 წლის იჯარის შეთანხმების საფუძველზე იყენებს. ეკლესიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ კიევ-პეჩორის ლავრიდან მამათა მონასტრის გაძევების იურიდიული საფუძვლები არ არსებობს და ეს არის კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსნების თვითნებური სურვილი.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბერში უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა მინისტრთა კაბინეტს, შეიმუშაოს ინიციატივა უკრაინაში მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობის აკრძალვის შესახებ.



# სი ძინპინი მესამე ვადით აირჩიეს

**ჩინეთის პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტად მესამე ვადით სი ძინპინი აირჩია. სი ძინპინი პრეზიდენტის პოსტზე წარდგენილი ერთადერთი კანდიდატი იყო. მას მხარი ეროვნული სახალხო კონგრესის 3 000 წევრმა დაუჭირა.**

ხმის მიცემის პროცედურა ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, ელექტრონული დათვლა კი 15 წუთში დასრულდა. სი ძინპინი ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე 5-წლიანი ვადით აირჩიეს.

# ხის მაღლივი კორპუსები



**რუსეთში ხის 9-სართულიანი კორპუსების მშენებლობა იგეგმება.**

რუსეთის მშენებლობის მინისტრის ირეკ ფაიზულინის თქმით, ამისთვის შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა იქნება აუცილებელი.

**„ჩვენ „როსპოტრენბადზორთან“ ერთობლივად ვმუშაობთ, რათა ამ პროექტების განხორციელების საშუალება გვქონდეს. ვფიქრობ, რომ 2023 წლის განმავლობაში მსგავსი პროექტების განხორციელებას შევძლებთ“,** – განაცხადა ფაიზულინმა. არის თუ არა ეს გადაწყვეტილება რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შედეგი, უცნობია. ბოლო დროს რუსეთში ეკონომიკის ბევრ სფეროს უცხოეთიდან სათადარიგო ნაწილების მიუწოდებლობის გამო პრობლემები შეექმნათ. რუსეთის მთავრობა ამ პროცესს „იმპორტის შეცვლის“ პროგრამას უწოდებს.

# ინდონეზიაში უდიდესმა ვულკანმა გაიღვიძა

**ინდონეზიაში, კუნძულ იავაზე, ვულკანი მერაპი ამოიფრქვა. ვულკანის ლავის ნაკადები 1.5 კილომეტრის მანძილზე გავრცელდა.**



ახლომდებარე მცხოვრებლებს მოუწოდეს, სახიფათო ზონებში, კრატერიდან სამიდან შვიდი კილომეტრის რადიუსში, ნებისმიერი სახის აქტივობა შეწყვიტონ. მოსახლეობის ევაკუაცია ამ დროისთვის არ მიმდინარეობს. მერაპი არის უდიდესი აქტიური ვულკანი ინდონეზიაში, მისი სიმაღლე 2 910 მეტრია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 14 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5925; ევრო - 2.7460;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1066;
100 რუბლი - 3.4127; თურქული ლირა - 0.1367;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5250;
1000 სომხური დრამი - 6.6803

**ამინდი 13 მარტისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +5, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +2, | დღე +16 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +20 |
| თბილისი: | ღამე +12, | დღე +21 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge